სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 აპრილი 2006 №92 (2714) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NUR DER SIEG

გერმანია წარმოგიდგენთ: დღეს ზესტაფონი ახალ საქართველოს ნახავს

ანაზღაურებადი ტელევიზიებიდან ზეკტაფონიდან

კამპ ნოუზე ბავშვები იტირებენ

დედა შვილს არ აიყვანსო, რომ იტყვიან, დაახლოებით ასეთი ამბავი იქნება დღეს „კამპ ნოუზე". „ბარსელონას" ფრეც ჰყოფნის ფინალში გასასვლელად, მაგრამ „ბარსაა" და ისე არ დაწვრილმანდება, რომ ფრისთვის ითამაშოს. „მილანს" კი აუცილებლად მოგება უნდა და შეტევაც ეხერხება, ოღონდ კატალონიელებს სამი წელია, ევროთასებზე შინ არ წაუგიათ — „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ახლახან თქვა, ბარსელონაში 2:1-ს მოვიგებთო, ხოლო გალიანის შეფი, იტალიის ექსპრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ესპანეთის პრემიერ-მინისტრ ხოსე ლუის საპატეროს დაუპატიჟებია „კამპ ნოუზე", ერთად ვნახოთ თამაშიო.

ჩვენც ვნახოთ: „მილანი" თუ „ბარსელონა"?

თქვენი ინტერვიუ

ზაზა ფაჩულიასთან

წარმატების ანბანი: ნიჭი, შრომა, აგრესია

...ეს არაა ჩემი ლიმიტი, მომავალ სეზონში უფრო უკეთ უნდა ვითამაშო, იმის მერე უფრო კარგად და ასე, სანამ პიკს არ მივაღწევ...

...კმაყოფილი ვარ „ატლანტაში" ყოფნით. პირადად ჩემთვის კარგი გუნდია, განვითარებისა და თამაშის დახვეწისთვის უკეთეს გარემოს ვერც ვინატრებდი...

...ვინ ვიყავი თავიდან? კარგი მონაცემების მქონე მოთამაშე. კადეტთა ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე ვოვა სტეფანიამ ჩემი თამაში ნახა და თქვა, ეს ბიჭი ნბა-ში წავაო... არ მახსოვს, თავი დამეზოგოს. ძალიან ბევრს ვშრომობდი და მგონი, დამიფასდა კიდეც...

...მოედანზე აგრესიულობა აუცილებელია, ნბა-ში სხვანაირად დაიჩაგრები...

მორჩა, წავედი!

ზიდანმა ზიზუ ვეღარ ზიდა



„იქნებ ცოტა უცნაურად გეჩვენოთ, ამას სეზონის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე რომ ვამბობ, მაგრამ ჩემს სხეულს ვერ გადავახტები და კიდევ ერთი წელი ვერ დავრჩები. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ეს საბოლოოა" — მორჩა, გადაწყვიტა! გუშინ, ფრანგულ ტელეარხ კანალ-პლუსთან ინტერვიუში ზინედინ ზიდანმა ოფიციალურად გაამხილა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთს გამოეთხოვება.



ბაზაზე ეროვნულ ნაკრებზე ფიფა

ვიცით და არ მოვეშვებით

საქართველოს მალტასთან ერთი ჯორჯიელი დააკლდა

თავიდანვე გეტყვით: დღეს საქართველო — მალტის 21-წლამდელთა ნაკრებების შეხვედრა 15 საათის ნაცვლად 13 საათზე დაიწყება. რატომ, ვერ გეტყვით, მაგრამ შესაძლოა, ეს მალტელთა თხოვნაც იყო.

სტუმართა ამბავი აქვე მოვითავოთ: ისინი გუშინ ქუთაისში დაბინავდნენ, ხოლო 13 საათზე ზესტაფონის „ცენტრალურზე“ ივარჯიშეს.

ახლა კი მთლიანად რალფ მინგეს ნაკრებზე: გუშინწინ ჩვენებმა ერთხელ, გუშინ კი ორჯერ ივარჯიშეს. მინგეს გამოძახებული თვრამეტივე ფეხბურთელი ადგილზეა, კლუბიდან გამოშვების პრობლემა არავის შექმნია. ეგაა, გუშინდელ ვარჯიშზე ვიტჯორჯიელი დავით იმედაშვილი დაშავდა და მისი მალტასთან თამაში გამოირიცხა. ექიმები დღეს დაადგენენ, რამდენად სერიოზულია იმედაშვილის ტრავმა. საინტერესოა ისიც, რომ გუშინდელ წვრთნაში კლაუს ტოპმიოლერიც აქტიურად მონაწილეობდა.

ვეჭვობთ, შეხსენება დაგჭირდეთ, მაგრამ მაინც: ქართველებმა სტუმრად 2:1 მოუგეს მალტას ოთარ მარცვალაძის საპირველტაიმო გოლებით, რაც, ფაქტობრივად, ნულამდე აქვეითებს კუნძულელთა შანსებს. მოგეხსენებათ, ამ წყვილიდან გასული ევრო 2007-ის შესარჩევ ჯგუფში ლიტვასთან და სერბეთთან მოხვდება, საიდანაც მხოლოდ გამარჯვებული გავა მეორე შესარჩევ ეტაპზე, იქიდან ფინალურ ეტაპამდე კი ერთი ჰლეი ოფია გადასალახი...

მოსკოვის „ლოკომოტივის“ გიორგი ჭელიძე დღეს ალბათ ძირითადში იქნება და საერთოდაც, ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ მთავარ ფორვარდად რომ მიიჩნევა, ლაპარაკიც არ უნდა. „პაჭელოს“ სადღეისო ზესტაფონურ მატჩზე და მოსკოვურ ამბებზეც ვესაუბრეთ:

— შენი აზრით, მალტას რაიმე სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია?

— როგორ გითხრათ, მთლად წყალწაღებული გუნდიც არაა. პირველ მატჩში გარკვეული წინააღმდეგობა გაგვიწია, კონტრშეტევაზე იკბინება. ჩვენ კი არ მოვეშვებით, მოსაგებად ვითამაშებთ. კარგად მოვემზადეთ, ვარჯიშებზე ყველანი კარგად გამოიყურებოდნენ. ეგაა, იმედაშვილი დაგვაკლდა.

— მინდორი როგორ მდგომარეობაშია, წვიმამ ხომ არ გააფუჭა?

— არა, პრობლემა არაა.

— ბოლო მატჩებში „ლოკომოტივში“ აღარ გათამაშებენ, უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ზიხარ...

— რას ვიზამ, უნდა მოვითმინო... რაც მთავარია, მენდობიან და ჩემი იმედი აქვთ, მეც ცდას არ ვაკლებ.

ილია ნანოგაშვილი

ბაზაზე ეროვნულ ნაკრებზე ზესტაფონიდან

ზეპური ვიზიტი

რას დასტყუებს ახალკაცი ბლატერს?

გუშინდელი დღე მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის. ნებისმიერი ქვეყნის საფეხბურთო ჩინოსნებისთვის დიდ პატივად ითვლება ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთან პერსონალურ აუდიენციაზე მიპატიჟება — ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ერთი თვის წინ მიიღეს შესაბამისი მიწვევა.

იოზეფ ბლატერმა გუშინ, თბილისის დროით ნაშუადღევს, მიიღო ქართული დელეგაცია. სამწუხაროდ, მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ეცდილობდით ნოდარ ახალკაცთან და უჩა უგულავასთან დაკავშირებას. ამდენად, ჩვენთვის უცნობია მსოფლიო ფეხბურთის პირველკაცთან მათი საუბრის დეტალები. ვიცით მხოლოდ ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც ქართული მხარე აპირებდა ყურადღების გამახვილებას. ეს უპირველესად ინფრასტრუქტურას ეხება. საქართველოს ხელისუფლების, თბილისის მერიის და კერძო ინვესტორების გარდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში ფიფას რესურსების გამოყენებაც სურს. მოგეხსენებათ, მათ მიერ გამოყოფილი გრანტები ძირითადად მიზნობრივია. ამის მიუხედავად, თუ ქართული მხარე შეძლებს ფიფას დარწმუნებას და, რაც მთავარია, დანახებს თუნდაც მცირე, მაგრამ კონკრეტულ შედეგებს, სავსებით შესაძლებელია, ფიფას პოზიცია შერბილდეს. ლოიალობის დასტური კი ახალკაცისთვის ახალი სანაკრებო ბაზის მშენებლობაზე თანხმობის მიცემა და ამ საქმეში თანადგომა იქნება.

ფიფაში ვიზიტის დასრულებისთანავე ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა თბილისში აპირებდნენ გამომგზავრებას. ისინი დღეს გამთენიისას უნდა ჩამოფრენილიყვნენ თბილისში, 13 საათზე კი უკვე ზესტაფონში იქნებიან და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრას მიადევნებენ თვალს.

გიორგი ნოზაძე

ჟორდანიას ოფიციალურად ფოტო

მერაბ ჟორდანია საქართველოში დაბრუნდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ჟორდანია წინა კვირას ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ სამშობლოში რამდენიმე დღე დაჰყო და ისევ უცხოეთში გაემგზავრა.

ჟორდანია მეტწილად შვეიცარიაში ცხოვრობს, ხანდახან რუსეთშიც ჩადის და ალბათ ამანაც მისცა იმპულსი ხმებს, ჟორდანია რუსეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებსო. ამ ინფორმაციას ოფიციალური და უტყუარი არ ეთქმის, ჯერჯერობით ეს მხოლოდ კულუარებში გაგონილი ხმებია.

ჟორდანია ამ ხელისუფლებამ ორჯერ დააპატიმრა და მერე სახლ-კარიც დაუყადაღა. როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის და თბილისის „დინამოს" ექსპრეზიდენტი ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს და მალე რომელიმე თანამდებობას დაიკავებს.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე **25 თეთრად**
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში **12 თეთრად** **დროის წამობრივი ალრიცხვა**
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან ჯეო-მიქსი!

GEO MIX ***123#**
ჯეო მიქსი

აკრიფეთ

***123*9# YES**

და მომენტალურად დაადგინეთ

ფიფა-ინფარტი
საფეხბურთო
ფანტასტიკური
ფეხბურთის ანბანარიუმი

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

ჰაინც ტოპმიოლერმა საქმეს ხელი მოჰკიდა

ამერელი რატი წინამძღვრიშვილი გოლით გამოირჩა

ჰაინც-მაისი

ტოპმიოლერმა საქმე ქავთარაძეზე დაიწყო

გუშინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა ოცდაათამდე ჭაბუკი ერთად პირველად შეკრიბა და 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ათამაშა. მწვრთნელის მიზანი, ცხადია, შეკრებილ ფეხბურთელთაგან საუკეთესოთა შერჩევა და მერე მათი სანაკრებოდ გამოყენებაა.

ამ საწვრთნელი თამაშის შედეგს რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარია, რომ ტოპმიოლერს 19-წლამდელთა ერთად ნახვის საშუალება მიეცა და მალე დასკვნებსაც გააკეთებს. ჯერჯერობით მწვრთნელს არც ერთი ფეხბურთელი არ გამოურჩევია და ნაკრებში გამოძახებამდე ბიჭებს კიდევ დააკვირდება. ისე კი, შეგირდების მომზადების დონით მთლად უკმაყოფილოც არ უნდა იყოს.

ამ ეტაპზე კი ტოპმიოლერმა მეტწილად „დინამოს", „თბილისის", „ამერის", „ლოკომოტივისა" და „ზესტაფონის" ფეხბურთელებს უხმო, თუმცა რამდენიმე პირველი ლიგის გუნდებიდანაც იყო.

თევდორაძე, გვაძაბია, თომაშვილი, ჩირიკაშვილი, გოცირიძე, წინამძღვრიშვილი, ხოხონიშვილი, კახელიშვილი — ამ მეტ-ნაკლებად ნაცნობ ფეხბურთელებთან ერთად ტოპმიოლერმა ბევრი ახალბედაც გამოცადა.

შეგახსენებთ, რომ ჰაინც ტოპმიოლერი გუნდს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპისთვის ამზადებს. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში თურქეთთან, სლოვაკეთთან და ირლანდიასთან ერთად მოხვდა. შესარჩევ მატჩებს 19-დან 23 მაისამდე სლოვაკეთი უმასპინძლებს. პირველი შესარჩევი მატჩი ჩვენებს თურქეთთან ექნებათ, მერე მასპინძლებთან და ბოლოს ირლანდიასთან.

ჯგუფის გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, რომელსაც ზაფხულში პოლონეთი უმასპინძლებს.

კობა ინასარიძე

საბერძნეთში ვაპირებ წასვლას

გოჩა ხოჯავა: მოედანს მიღმა როგორი ვარ, არავის საქმე არ არის

ხოჯავამ წინა სეზონის შუაში დატოვა „თბილისი" და კვიპროსულ „ანართოსისს" მიაშურა. იმ დროისთვის ხოჯავა უკვე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, ცაცია შუახაზელი არაორდინალური ფინტებითა და ზიდანური პასებით, ახალგაზრდული ნაკრების წევრი, მაგრამ ჯერაც ჩამოუყალიბებელი ფეხბურთელი, რომელმაც უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა.

„კვიპროსზე წასვლა კარგად ნაფიქრი იყო — გამომიჩნდა ხელსაყრელი ვარიანტი კარგი პირობებით და წასვლა გადავწყვიტე. თანაც „ანართოსისის" მწვრთნელი თემურ ქეცბაია იყო და გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოდა" — ასე ასაბუთებს კვიპროსზე წასვლას ხოჯავა, მაგრამ იყო კი ეს სწორი და წარმატებული ნაბიჯი?

„სამჯერ სასტარტოში ვითამაშე და ოთხჯერ შეცვლაზე, სამი გოლი გავიტანე და ერთ-ერთ გადამწყვეტ თამაშში საგოლე პასიც გავაკეთე. ქეცბაიას უნდოდა, რომ დავრჩენილიყავი „ანართოსისში", მეუბნებოდა, აქედან კარგ ბერძნულ გუნდში გადასვლის პერსპექტივა არისო. „ანართოსისი" ჩემპიონი გახდა, მაგრამ პირობები აღარ გამიუმჯობესა, რაც არ მაწყობდა. ამიტომაც წავედი „როსტოვში", სადაც უკეთესი პირობები შემომთავაზეს და რუსეთის ჩემპიონატიც ხომ უკეთესია კვიპროსულზე" — გოჩამ კონტრაქტი გააფორმა „როსტოვის" იმდროინდელ პრეზიდენტ ივან სავიდისთან და ეს ხელშეკრულება კვლავაც ძალაშია.

> თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავს, ისინი დარბიან და იბრძვიან, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი ეტყობათ — ასეთია საყოველთაო აზრი იმ სპეციალისტებისა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს რომ ადევნებენ თვალყურს. მაგრამ არის ერთი-ორი ისეთი ფეხბურთელიც, ნიჭიერად რომ დაიბადა...

რუსეთში ხოჯავას კარგად ვერ წაუვიდა საქმე და ამას იმით ხსნის, რომ „როსტოვს" მალევე შეეცვალა პრეზიდენტიც და მწვრთნელიც, გოჩამ ტრავმაც მიიღო და... მოკლედ, მისი კარიერა დაღმა წავიდა, ხოჯავას აღარ იწვევდნენ ახალგაზრდულ ნაკრებში... გაიოზ დარსაძის შტაბმა მოგვიანებით მაინც უხმო მას, მაგრამ ეს ის ხოჯავა აღარ იყო, საქართველოდან წასვლამდე რომ დაამახსოვრა თავი ყველას. გოჩამ ახალგაზრდულ ნაკრებში ბოლოს წინა შესარჩევ ციკლში ითამაშა სტუმრად საბერძნეთთან და წითელი ბარათი მიიღო...

ხოჯავა ფეხბურთს ვეღარ ითამაშებს, მას ცუდი ხასიათი აქვს, — ეს პირადად ჩემთვისაც უთქვამს იმ ხალხს, ქართულ ფეხბურთში რომ ტრიალებენ, მაგრამ ეს არ იყო საყოველთაო აზრი, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ყოველთვის სჯეროდათ ხოჯავას მონაცემების და იმედი ჰქონდათ, რომ გოჩა ამ ყველაფერს კვლავ აამოქმედებდა.

წლეულს ზამთარში ხოჯავა საქართველოში დაბრუნდა, მას ჯერ გიორგი დევდარიანის „თბილისი" ეპატიჟებოდა, შემდეგ „ბორჯომი", მაგრამ რუსეთიდან სატრანსფერო ფურცლის მიღება ყოვნდებოდა და „ბორჯომმაც" საბოლოოდ უარი თქვა ხოჯავაზე.

მიმდინარე სეზონის მეორე წრე ისე დაიწყო, ხოჯავა უგუნდოდ იყო, მაგრამ „თბილისში" რაღაც-რაღაცები შეიცვალა, კლუბმა რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს და ახალ მწვრთნელ გოჩა ტყებუჩავას უხმო და არც ხოჯავა დავიწყებია.

...წინა ტურში „თბილისმა" ხოჯავას მოხდენილი გოლით მოუგო „კოლხეთს" და უკვე კარგი შანსი აქვს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად, ხოლო ხოჯავას ერთხელაც მიეცა შანსი, თავისი ნიჭი დახარჯოს.

„ახლა „თბილისში" რამდენიმე გამოცდილმა მოთამაშემაც მოიყარა თავი და გუნდი არგავარდნას გადაურჩება, მე კი 5 მაისიდან ორჯერად ვარჯიშებს ვიწყებ, რათა მაისის ბოლოს კვლავ წავიდე უცხოეთში" — გვითხრა ხოჯავამ.

გოჩას ჩვენთვის არ გაუმხელია, თუ რომელ გუნდში აპირებს წასვლას, თუმცა ის კი მოგვახსენა, საბერძნეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში მსურს გადასვლაო და კიდევ ის, რომ...

„თუ ჩემზე ლაპარაკობენ, ცუდი ხასიათი აქვსო, ასე იმიტომ ამბობენ, რომ საქართველოში ძალიან ბევრია ბოღმიანი ადამიანი, თორემ აბა, რომელ მწვრთნელს უთქვამს, ხოჯავა ჩემს მითითებებს არ ასრულებსო?! ხოლო მოედნის მიღმა როგორი ხასიათი მაქვს, ეს არავის საქმე არ არის" — ასე მიაჩნია 21 წლის ხოჯავას.

დავით თავართქილაძე

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

27 ტური აქცენტებით

ბენეფიციარი საინფორმაციო
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უკვანტავი საქმე საკვანტავად გაიხადა — ბოლნისის „სიონი“ ჩემპიონობამდე სამი ტურით ადრე ბორჯომში დამარცხდა და გათამაშებას საჩემპიონო ინტრიგა დაუბრუნა. მესამე საფეხურზე აინაცვლა თბილისის „დინამომ“ და ამაში „დილასთან“ დამაჯერებლად გამარჯვების გარდა ზესტაფონური ფრეც წაეხმარა. მესამე ადგილს და უეფას საგზურს ერთბაშად ოთხი გუნდი ეპოტინება, თუმცა ჯერ ისიც უცნობია, ბრინჯაოს მედლებს ჩაროზად უეფას თასის საგზური მოყვება თუ მხოლოდ ინტერტოტოსი.

ეს რაც ცხრილის ზედა ნაწილს შეეხებოდა, ქვემოთ კი გამოსარჩევი „თბილისის“ მორიგი ნაბიჯია, გასავარდნიდან გადათამაშების ზონაში რომ აინაცვლა. გოჩა ტყებუჩავას გუნდის გარდა პირველლიგელებთან გადათამაშებაში დაწყვილების პერსპექტივა კიდევ, სულ მცირე, სამ გუნდს ემუქრება...

პირველი ტაიმი: GUT
მეორე ტაიმი: SCHLECHT

გოჩა ხოჯავა — „თბილისიდან“ წასული, კვიპროს-რუსეთმოვლილი და უკან დაბრუნებული. გამთამაშებელი, რომლის ნიჭზე და ხასიათზე დიახაც, ლაპარაკობენ...

27-ე ტურში „თბილისმა“ 1:0 მოუგო ფოთის „კოლხეთს“. გოლი სწორედ ხოჯავამ გაიტანა, თან რა გოლი — მოედნის ცენტრიდან დაიწყო, გზად რამდენიმე ფოთელი მოატყუა და...

ტრიბუნაზე მჯდომი ჰაინც ტოპმიოლერი აშკარად კმაყოფილი ჩანდა — ალბათ შესაბამის რეკომენდაციასაც არ დაამადლიდა „თბილისის“ ათიანს და ვინძლო ხოჯავას დღეს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ეთამაშა, მაგრამ... მეორე ტაიმმა ყველაფერი უცვლელი დატოვა — გოჩა ფიზიკურმა მომზადებამ დააღალატა და უფროსი ტოპიც მეორე ნახევარში გაწბილებული დარჩა...

დვალი მარცვალაძის ტახტს მიუცოცდა

ცოტაც და, ვინ იცის, საქართველოს ჩემპიონატი უნიკალური მოვლენით დამთავრებულიყო — დავიჯეროთ, სადმე ოდესმე მომხდარა, რომ ნახევარსეზონში მოთამაშე ფეხბურთელი ჩემპიონატის ბომბარდირი გამხდარიყო? ოთარ მარცვალაძე კი 27-ე ტურამდე ინარჩუნებდა ლიდერობას 13 მატჩში გატანილი 14 ვიტური გოლით.

და აი, მარცვალაძის დამწევი გამოჩნდა: თბილისის „დინამოს“ ფორვარდმა ჯაბა დვალმა ორი გოლი გაუტანა გორის „დილას“.

საინტერესოა ისიც, რომ დვალი მხოლოდ ბოლო ტურებში იქცა „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად, მანამდე კი უმეტესად სათადარიგო იყო. თუმცა ჯაბა ამ მიღწევას ბოლნისის „სიონში“ მოგროვილ საპირველწრეო 11 გოლს უნდა უმადლოდეს, თორემ „დინამოში“ ოდენ სამი ბურთი შეაგდო.

ჯაბა დვალი

27 ტურად ფოთელებმა ჯაბა დვალი

ბომბარდირები

14-მარცვალაძე	*ვიტ ჯორჯია*
დვალი	*სიონი /დინამო*
13-ბონანიძე	*ზესტაფონი*
მიმშიკაძე	*სიონი*
12-ფეგრელაძე	*დინამო*
10-ბობოხიძე	*დინამო*
9-დოლიძე	*სიონი /აქერი*
დავითაშვილი	*აქერი*
სულთანიშვილი	*დილა /ცხინვალი*
იფედაძე	*ზესტაფონი*
დვალიშვილი	*დინამო/ბათუმი*
სანიშვილი	*დილა /ცხინვალი*
იფედაშვილი	*ვიტ ჯორჯია*

მეორედ შესვლა

ზოგადად, ფეხბურთელები ცრუმორწმუნეები არიან. თითქმის ყველას აქვს გარკვეული რიტუალი, თილისმა ან სხვა რაღაც — კარგად თუ ცუდად „დაცდილი“.

ისევ „ბორჯომზე“ მოგახსენებთ: მეორე წრეში უკვე მეორედ, პრინციპული შეხვედრის მსვლელობისას მოედანზე გარეშე პირი აღმოჩნდა, ორივე ეს შეხვედრა კი „ბორჯომის“ გამარჯვებით დასრულდა.

შაბათს ბოლნისის „სიონთან“ მატჩის პირველივე ტაიმში მავანმა ქომაგმა დამცავი ღობე გადალახა და ისე ჩანდა, მსაჯთან აპირებდა „გასაუბრებას“ ფეხბურთის წესების მისეული ინტერპრეტაციის შესახებ. სიტუაციაში ყველაზე ოპერატიულად არგენტინელი გონსალო დე პორასი გაერკვა, ფანი გულში ჩაიკრა და ციმციმ გააცილა მინდვრის კიდემდე. აქედან სულ რაღაც სამ წუთში კი ლევან სანიკიძემ გამარჯვებისა გაიტანა ბოლნისელთა კარში.

მოდი და, ამის შემდეგ ნუ იტყვი, ბორჯომში მოედანზე გარეშე პირის შესვლა კარგად დასცადესო. თუმცა, ამის ტრადიციად დამკვიდრება მაინც არ ღირს...

ვისაც გააქვს, არ ისვენებს

რაც ოთარ მარცვალაძე „ვიტ ჯორჯიიდან“ წავიდა, გუნდის მთავარმეგოლე დავით იმედაშვილი შეიქნა, ვინც ხან მცველად თამაშობს, ხან ნახევარმცველად.

ამ ტურში „ვიტ ჯორჯიამ“ ქუთაისის „ტორპედოს“ იმედაშვილის გოლით მოუგო და რახან „სიონმა“ „ბორჯომთან“ წააგო, საჩემპიონო ინტრიგაც ხელახლა აბრკიალდა.

მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ აშკარად გადაღლილია და წამყვანი მოთამაშეების სრულფასოვანი შემცვლელებიც არ ჰყავს, ანუ თუ მოთამაშეთა როტაციას მიმართავს, ეს მისთვის ეფექტური ვერ იქნება.

27-ე და 28-ე ტურებს შორის ერთკვირიანი პაუზაა და გუნდებს ძალების აღდგენის საშუალებაც მიეცემათ, მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ მაინც „დაჩაგრული“ გამოდის — იმედაშვილი და თავდამსხმელი ნიკა გელაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი და მათ დღესაც მოუწევთ თამაში მალტელ თანატოლებთან.

მოკლედ, დასვენება და ძალების აღდგენა ვიტელ მეგოლეებს ახლაც ვერ ეღირსათ...

ბორჯომი	1:0	სიონი				
ცხინვალი	2:1	ლოკომოტივი				
სპარტაკი	1:1	ამერი				
დინამო	4:1	დილა				
ზესტაფონი	0:0	ბათუმი				
ვიტ ჯორჯია	1:0	ტორპედო				
კახეთი	3:1	სოხუმი				
თბილისი	1:0	კოლხეთი				
სიონი	27	20	4	3	46:17	64
ვიტ ჯორჯია	27	19	4	4	49:15	61
დინამო	27	17	4	6	48:20	55
ზესტაფონი	27	16	7	4	38:19	55
ბათუმი	27	16	6	5	38:17	54
ბორჯომი	27	17	2	8	46:24	53
ამერი	27	15	3	9	32:21	48
ლოკომოტივი	27	10	4	13	37:43	34
კახეთი	27	9	3	15	31:43	30
კოლხეთი	27	8	5	14	22:29	29
ცხინვალი	27	8	3	16	27:52	27
ტორპედო	27	7	6	14	26:35	27
დილა	27	7	4	16	29:41	25
თბილისი	27	6	2	19	21:43	20
სოხუმი	27	5	3	19	24:58	18
სპარტაკი	27	3	6	18	10:48	15

დარჩენილი ტურები

XXVIII ტური

29 აპრილი, შაბათი

ამერი – კახეთი
სოხუმი – თბილისი
კოლხეთი – ზესტაფონი
ბათუმი – დინამო
დილა – ცხინვალი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – სპარტაკი

XXIX ტური

6 მაისი, შაბათი

სიონი – ამერი
სპარტაკი – ტორპედო
ბორჯომი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – დილა
ცხინვალი – ბათუმი
დინამო – კოლხეთი
თბილისი – კახეთი
ზესტაფონი – სოხუმი

XXX ტური

9 მაისი, სამშაბათი

ამერი – თბილისი
კოლხეთი – ცხინვალი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – ბორჯომი
ტორპედო – სიონი
კახეთი – ზესტაფონი
სოხუმი – დინამო
ლოკომოტივი – სპარტაკი

სიმბოლური ნაკრები



ილია კანდელაკი: მსაჯებმა გაგვწირეს და მოგვიგეს

სადაც გიგიაძეა, იქ პრობლემაა...

ილია კანდელაკი (№3) „ჩერნომორეცის“ ლიდერად იქცა

ილია კანდელაკისა და კახა მჟავანაძის „ჩერნომორეცი“ უკრაინის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, რაც ოდესელებისთვის მაქსიმუმია. მართლაც — აბა, უკრაინაში კიევის „დინამოს“ და დონეცკის „შახტარის“ გადასწრებაზე ფიქრიც კი უტოპია ჩანს.

„ჩერნომორეცმა“ ბოლო ტურში ვასილ გიგიაძის „კრივბასთან“ 0:1 ნააგო, თუმცა ზღვისპირული კლუბის პრესამსახურმა თავისი გუნდის საუკეთესო მოთამაშედ კანდელაკი დაასახელა...

„საერთო აზრით, ილია „ჩერნომორეცის“ ერთ-ერთი საუკეთესო ახალწვეულია. ის უნივერსალური, განსწავლული, ჭკვიანი და ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული ფეხბურთელია, ზამთრის შემდეგ გაცილებით უკეთ თამაშობს და გუნდის წამყვან ძალად იქცა. კანდელაკი „კრივბასთანაც“ საუკეთესო იყო, თუმცა თავად „ჩერნომორეცისთვის“ არ იყო ეს მატჩი საუკეთესო“ — წერს უკრაინელი ჟურნალისტი, რომელმაც ჩვენებურს ინტერვიუ ჩამოართვა...

— „კრივბასთან“ თამაშზე რაიმეს თქმა მიძნელდება. არ მინდა მსაჯობას შევეხო, მაგრამ მატჩის დასაწყისშივე ათი კაცით დაგვტოვეს, უსამართლო გადაწყვეტილება იყო და ამიტომაც გაგვიჭირდა.

— ესე იგი, პაველ კირილჩიკს ორი ყვითელი ბარათი უსამართლოდ მისცეს და პენალტიც არ იყო?

— პენალტი რომც ყოფილიყო, საყვითელბარათო სიტუაცია ნაღდად არ ყოფილა. როცა კირილჩიკი მეორედ გააფრთხილეს, იქ ნამდვილად იყო წესების დარღვევა, მაგრამ ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციებში მსაჯები ფეხბურთელს არ წირავენ. მერე კი „კრივბასმა“ გაიტანა, ჩვენ ავნერვიულდით და ბლომად ყვითლები მივიღეთ. ვინც ნახა ეს თამაში, ადვილად შეაფასებს მსაჯობას, მე კი ამაზე ბევრი ლაპარაკი არ მინდა, რადგან ფეხბურთელი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ.

— ანუ „ჩერნომორეცს“ თამაშის შემოტრიალება არ შეეძლო?

— რა თქმა უნდა, შეგვეძლო. თუმცა არა უშავს, კონკურენტებმაც წაიფორხილეს და ისევ მესამე ადგილზე ვართ.

— „კრივბასმა“ უფრო მეტი პრობლემები შეგიქმნათ, ვიდრე სხვა გუნდებმა?

— მათ მოგება სურდათ, რადგან სახიფათო ზონისგან არცთუ შორს არიან. „კრივბასი“ კარგი გუნდია და, რა თქმა უნდა, საქმე გაგვიძნელა ვასილ გიგიაძემ — სადაც ისაა, იქ პრობლემაა. ვასო მშვენივრად ფლობს ბურთს, კარგად მოძრაობს, ორთაბრძოლებს არ ერიდება.

— მიმოშხილველების თქმით, გიგიაძე „ჩერნომორეცთან“ ხშირად ეცემოდა და ზოგჯერ უსაფუძვლოდაც...

— რატომღაც ასეთი თამაში გამოვიდა, ყველა წაქცევას ცდილობდა და ჩვენს კარში ჯარიმებიც ხშირად ინიშნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდად მაქვს დაცდილი...

ჩიხრაძე რუსებს არ ელაპარაკება

ნალჩიკის „სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე ცრუმორწმუნე ყოფილა. თურმე უკვე სამი წელია, მას რუსული პოპულარული გამოცემა „სპორტ-ექსპრესისთვის“ ინტერვიუ არ მიუცია და აი, რატომ: 2003 წელს ამ გაზეთთან საუბრის შემდეგ სარატოვის „სოკოლთან“ სამი გოლი გაუშვა.

„სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტმა „ზენიტთან“ ამასწინდელი მატჩის შემდეგ მაინც სცადა ჩვენიანთან გამოლაპარაკება. მაგრამ ისევ უარი მიიღო. სამაგიეროდ, სეზონი რომ დამთავრდება, ყველაფერზე გესაუბრებითო — უთქვამს ალექსანდრე ჩიხრაძეს.

შეგახსენებთ, ჩიხრაძე რუსეთის მოქალაქეა, თუმცა თავად გამოთქვა საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი. მან სეზონი მშვენივრად დაიწყო და რუსული მედიაც აქებს — ახლაც დაწერეს, ნალჩიკის „სპარტაკი“ რომ პრემიერლიგის ცხრილის ზედა ნაწილშია, დიდწილად სწორედ ჩიხრაძეს დამსახურებაა.

ილია ნანოგაჯვილი

რა თქმა უნდა, შერიფი! რა თქმა უნდა, ვაჟა!

მოლდოვის ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ტირასპოლის „შერიფმა“ და ვაჟა თარხნიშვილმა ჩემპიონობა გაინაღდეს.

22-ე ტურში „შერიფმა“ სტუმრად 7:1 მიანგრია ბენდერსკის „დინამო“ და „მდევარ“ „ზიმბრუს“ 18 ქულით გაუსწრო.

მოკლედ, „შერიფმა“ და თარხნიშვილმა ზედიზედ მეექვსედ იზეიმეს ჩემპიონობა.

სხვათა შორის, ტირასპოლური კლუბი ოდენ ცხრა წლისაა...

კახა შალამბერიძე

დარასელია თბილისშია და იაროსლავლთან ახლოსაა

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში ვიტალი დარასელიას თბილისის „დინამოში“ არ უთამაშია, ის რუსეთში იყო ერთ-ერთ იქაურ გუნდში მოსაწყობად.

ახლა კი დარასელია თბილისშია და გუშინ „დინამოში“ ვარჯიში განაახლა — კონტრაქტის თანახმად, სეზონის ბოლომდე დარასელიამ „დინამოში“ უნდა ითამაშოს, მერე კი თავისუფალი აგენტი გახდება.

როგორც შევიტყვეთ, 27 წლის დარასელიამ შესაძლოა, იაროსლავლის „შინიკში“ გაგრძელოს კარიერა.

დავით თავართქილაძე

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

ბარსელონას ბოლო ათი საშინაო მატჩი

ბარსელონა — ვალიარეალი	1:0	პდ
ბარსელონა — ბენფიკა	2:0	ჩლ
ბარსელონა — რეალი	1:1	პდ
ბარსელონა — ხეტაფე	3:1	პდ
ბარსელონა — ჩელსი	1:1	ჩლ
ბარსელონა — დეპორტივო	3:2	პდ
ბარსელონა — ბეტისი	5:1	პდ
ბარსელონა — ატლეტიკო	1:3	პდ
ბარსელონა — სარაგოსა	2:1	ეთ
ბარსელონა — ალავესი	2:0	პდ

პდ — პრიმერადივიზიონი,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ეთ — ესპანეთის თასი

ბარსელონა (ესპანეთი) – მილანი (იტალია) (1:0)

ბარსელონა. „კამპ ნოუ“. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

ვალდესი — ბელეტი, პუიოლი, მარკესი,
ვან ბრონკჰორსტი — დეკუ, ედმილსონი,
ვან ბომელი — ჟიული, რონალდინიო — ეტოო

დიდა — კაფუ, სტამი, კალაძე,
სერჟინიო — გატუზო, პირლო,
ზეედორფი — კაკა — შევჩენკო, ინძაგი

დისკვალიფიცირებულნი

ოლეგერი (1 მატჩი) | არავინ

მილანის ბოლო ათი მატჩი სტუმრად

მესინა — მილანი	1:3	სA
ლეჩე — მილანი	1:0	სA
ლიონი — მილანი	0:0	ჩლ
უდინეზე — მილანი	0:4	სA
იუვენტუსი — მილანი	0:0	სA
პალერმო — მილანი	0:2	სA
ბაიერნი — მილანი	1:1	ჩლ
რეჯინა — მილანი	1:4	სA
ლაციო — მილანი	0:0	სA
პალერმო — მილანი	3:0	ით

სA — სერია A,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ით — იტალიის თასი

სკუდეტო? არა, ლიგა!

ნამინისტრალი მინისტრის სუფრაზე

„ვშიძრობ, რომ „მილანს“ წლეულს ჩემპიონთა ლიგის მოგება უფრო შეუძლია, ვიდრე სკუდეტოსი, სერია A-ში „იუვენტუსს“ ოდენ სამი ქულით ჩამოვრჩებით, თუმცა ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი და ტურინელებმა მიღწეულის შენარჩუნება კარგად იციან. უფრო სარწმუნო ლიგაში გამარჯვებაა, „ბარსელონასთან“ შინ წაგებამ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მორალურად გაგვამხნევა და „კამპ ნოუზე“ თავგანწირვით ვითამაშებთ ფინალში გასასვლელად“ — განუცხადა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ერთ-ერთ იტალიური რადიოს. აპენინურ გრანდს „კამპ ნოუზე“ ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევს — ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ბოლოს „ია-აქსმა“ შეძლო შინ, ნახევარფინალში 0:1 წაგებული მატჩი, ათენში სტუმრად „პანათინაიკოსისთვის“ ცხვირში ძმრად ამოედინა და 3:0 დაემარცხებინა. ანჩელოტის ბიჭების წინ კი არც ათენია და არც „პანათინაიკოსი“, ფინალში გასასვლელად „სრულყოფილ მონსტრთან“ ჩხუბი ელით (პირველი მატჩის წინ ესპანურმა მედიამ ანდრეი შევჩენკო ოსტატობისთვის „შავ ეშმაკად“ მოიხსენია, ახლა კი იტალიური გაზეთები მთლიანად „ბარსელონას“ სრულყოფილ მონსტრს“ უწოდებენ).

საპატერო და ბერლუსკონი

სტუმართათვის ყველაზე სახიფათო კაცი კი, რა თქმა უნდა, რონალდინიო იქნება. „კამპ ნოუს“ ბრაზილიელი ჯერ კიდევ პირველ მატჩამდე აშინებდა „სან სიროს“, ხოლო რაც რონიმ იტალიაში იჯადოქრა, „მილანის“ მესვეურთ, ეტყობა, იმედი სრულად გადაეწურათ.

„რონალდინიოს“ ჩაკეტვა შეუძლებელია, თუმცა ჩვენი მცველები შეეცდებიან, ბრაზილიელს ნაკლები სათამაშო სივრცე დაუთმონ — იქნებ ამან გარკვეული შედეგი მაინც მოიტანოს“ — უთქვამს კარლო ანჩელოტის. იტალიელთა თავკაცის სასოწარკვეთა არც ისე გაზვიადებული მოგვეჩვენება, „სან სიროზე“ გაუჩოს საოცრებებს და მის საგოლე პასს თუ გავიხსენებთ... რონალდინიო იქნება „ფრანს ფუტბოლის“ საუკეთესო ფეხბურთელია, არამედ ყველაზე უხვი ხელფასის მქონეც. კიჭამ 2005-ში 23 მილიონი ევრო მოგება ნახა და აქამდე პირველადგილოსანი ბექემი (18 მილიონი) უკან ჩამოიტოვა. ასეა, ტალანტს ჯეროვნად აფასებენ...

„მილანს“ „კამპ ნოუზე“ არ ეყოლება მასიმო ამბროზინი. „როსონერის“ მოთამაშემ გასულ შაბათს „მესინასთან“ ტრავმა მიიღო და არამც თუ დღევანდელ, არამედ სეზონის ყველა დარჩენილ თამაშს გამოტოვებს. „მესინასთან“ ურთულეს ჯახში კი ამბროზინის გარდა შევჩენკო, კაფუ, კაკა და ალენსადრო ნესტაც დაიმტვრნენ, თუმცა, მედიის ცნობით, პირველი სამი უკვე ჯანმრთელადაა და ნესტაც სავარაუდოდ თამაშს მოახერხებს. კაფუმ „ბარსასთან“ ჯახამდე „მილანთან“ 2007 წლის 30 ივნისამდე კონტრაქტის გახანგრძლივებაც მოასწრო, ხოლო 32 წლის პიპო ინძაგიმ გრიპი მოირჩინა და კატალონიელებს გოლებით ემუქრება. ინძაგიმ მეოთხედფინალში „ლიონი“ გადასანსლა, თუმცა მერე 40 გრადუსამდე აუვარდა სიცხე და „ბარსელონა“ — „მილანის“ შეხვედრა ტელევიზორით ნახა...

ბარსელონაში კი იმ რამდენიმე მიზეზს ახსენებენ, რომელთა გამოც კატალონიურმა გრანდმა ნახევარფინალური ჯებირი უნდა გადალახოს. პირველად, რა თქმა უნდა... მარადიული მტერი, მადრიდის „რეალი“ გაახსენდათ. საქმე ის გახლავთ, რომ „რეალს“ 1955 წლიდან მოყოლებული საევროტურნირო სარბიელზე 219-ჯერ გაუმარჯვია. ზუსტად ამდენი მოგება აქვს „ბარსას“ და თუ დღეს „კამპ ნოუზე“ „მილანი“ დაამარცხეს, საძულველ „სამეფო თეთრებს“ ერთი გამარჯვებით გადაასწრებენ. კიდევ ის, რომ „ბარსას“ შინაურ არენაზე საევროტურნირო თამაშში 3 წელია, არ წაუგია, ბოლოს კატალონიელებმა 2003 წლის 22 აპრილს „იუვესთან“ დათმეს 1:2, მას შემდეგ კი 10 გამარჯვება და ოდენ სამი ფრე მოინადირეს. 2005-06-ის სეზონში რაიკარდის გუნდს ევროპაში საერთოდ დამარცხების სიმწარე არ უნახავს — „ბარსელონას“ მონაგარი 8 მოგება და სამი ფრეა. მოკლედ, თუ კატალონიურ მედიაში გამოქვეყნებული სტატისტიკით ვიმსჯელებთ, „მილანი“ თეორიულად განწირული ჩანს...

„როსონერის“ შემოსევას ტრავმირებული ლეო მესი და ოლეგერ პრესასი ვერ დაუხვდებიან. „ბარსელონას“ მესამე კაპიტანმა ხავიმ ტრავმა თითქმის მოირჩინა, თუმცა ექიმები აჩქარებას არ ურჩევენ და ხავიც დღევანდელ ჯახს გამოტოვებს. მატჩისწინა წვრთნის დროს რონალდინიოც დაშავდა, ოღონდ, მილანელ მცველთა საშწუხაროდ, ნაკლებად სერიოზულად და დღეს საბრძოლო ფორმაში იქნება. დეკუმ სანქცია მოიხადა და „კამპ ნოუზე“ გაილაღებს — აბა, ის რას ჰგავდა, „სან სიროს“ მატჩისას პორტუგალიელმა ტელევიზორის წინ მღელვარებისგან თითები რომ დაიჭამა...

„გუნდს გამარჯვებისა სჯერა და ინჩასებიც მშვენიერ ფიესტას ნახავენ“ — თქვა „ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა. სავარაუდოდ, შეხვედრას, საპატიო ინჩასებად ესპანეთის პრემიერი საპატერო და „მილანის“ პატრონი, იტალიის ექსპრემიერი ბერლუსკონი დაესწრებიან. ხოსე ლუის საპატერო „ბარსელონას“ თავვადაკლული ფანი გახლავთ და კატალონიელებსაც უხარიათ, ასეთი დონის თამაშზე ქვეყნის მეთაურს ჩამოვიყვანთო. რაც დიდი დიქტატორი ფრანკო მიიცვალა, საპატერო მართლაც პირველი იქნება, ქვეყნის მეთაურის რანგში „ბარსას“ თამაშს რომ დაესწრება. აქამდელ პრემიერ-მინისტრებს ან ფეხბურთი არ აინტერესებდათ, ან კიდევ მადრიდის „რეალს“ გულშემატკივრობდნენ...

დასასრულს, ძველ წყენაზეც ვოქვათ. „ბარსელონას“ და „მილანს“ ახლა ნორმალური ურთიერთობა აქვთ, თუმცა 1994 წლის ლიგის ფინალი კატალონიაში მაინც მწარედ ახსოვთ. მაშინ, მოგეხსენებათ, არიგო საკის „მილანმა“ „ბარსას“ ათენში 4:0 მოუგო... ამიტომაცაა, რომ „სპორტს“, „ელ მუნდო დეპორტივოს“ თუ ნებისმიერ კატალონიურ გაზეთს „მილანის“ შექებასთან ერთად აუცილებლად გაეპარება ერთი ცეცხლმოკიდებული სიტყვა და ეს სიტყვა LA REVANCHA გახლავთ...

ლადო ხომერიკი

პირველ მატჩში კაკამ ვერ გაიტანა, მაგრამ დღეს ეცდება

ნესტა თუ ითამაშებს, ისევ მოუწევს რონალდინიოს დევნა

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

F ჯგუფი

ბრაზილია, ხორვატია ავსტრალია, იაპონია

მამაშვილობა ხორვატიულად

ზლატკო კრანჩარი

ხორვატია 1991 წელს გამოეყო იუგოსლავიას და იმავე წელს შევიდა ფიფა-ში. დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით 15-წლიან ისტორიაში, ხორვატებმა საკმაოდ ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის იმიჯი შეიქმნეს. უდიდეს წარმატებას მათ 1998 წლის მუნდიალზე მიაღწიეს, სადაც ნახევარფინალში დამარცხდნენ მასპინძელ და მომავალ ჩემპიონ საფრანგეთთან, ხოლო მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში მოუგეს ჰოლანდიას. დავორ შუკერი კი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მის გარდა, იმ თაობის ნაკრებში ბრწყინავდნენ ზვონიმირ ბობანი, რობერტ პროსინეჩკი, რობერტ იარნი, იგორ შტიმაცი და ასე შემდეგ.

2002 წელს კორეა-იაპონიაშიც, ხორვატია ასევე კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ... მექსიკასთან წაგების შემდეგ მოუგო იტალიას და ჯგუფის მესამე მატჩში ეკვადორთან ფრეც ჭყოფნიდა, თუმც, მიუხედავად უპირატესობისა, მოულოდნელად დამარცხდა.

ხორვატებს ახლაც ძლიერი ნაკრები ჰყავთ. შესარჩევი ეტაპი გუნდმა წაუგებლად გაიარა. მართალია, ათი მატჩიდან სამჯერ, მათ შორის მალტასთან, მოულოდნელად ითამაშა ფრედ, მაგრამ რადგან უშუალო კონკურენტ შვედეთს ორჯერვე მოუგო, ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა.

* * *

მწვრთნელი: ზლატკო კრანჩარი 1956 წლის 15 ნოემბერს დაიბადა ზაგრებში. ფეხბურთელობისას ზაგრების „დინამოსა“ და ვენის „რაპიდში“ კარგი თამაშით გამოირჩეოდა, მწვრთნელობისას კი მოასწრო 9 სხვადასხვა კლუბში მუშაობა, სანამ 2004 წელს ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებდა. განსაკუთრებული წარმატებით ზაგრების „დინამოში“ იმუშავა. 1996 და 1998 წლებში გუნდს ქვეყნის ჩემპიონობაც მოაგებინა და თასიც. ხორვატიის ჩემპიონად აქცია ხელმოკლე „ზაგრებიც“. საინტერესოა, რომ თავის პირველ კლუბ „სეგესტას“ გარდა, სადაც ორი წელი გაჩერდა, ერთ სეზონზე მეტი არსად გაუტარებია.

ცნობილია იმით, რომ უყვარს აგრესიული და შემტევი ფეხბურთი. ასევე განსაკუთრებულად ენდობა თავის შვილს, ნიკოს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება და ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს. საკმაო ხანს იგი ნაკრების კაპიტანიც გახლდათ, თუმცა ზლატკო კრანჩარი ამბობს, რომ აქ მამაშვილობა არაფერ შუაშია.

ამასწინათ კრანჩარმა ძალიან გააღიზიანა ავსტრალიის ამჟამინდელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი. მუნდიალზე ხორვატია სწორედ ავსტრალიას ხვდება. ზლატკო კრანჩარი: „თუ ხორვატიას ავსტრალიის ეშინია ან შეეშინდება, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე“.

* * *

კაპიტანი: ნიკო კოვაჩი ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ავტორიტეტული ფიგურაა. იგი 1971 წლის 15 ოქტომბერს ბერლინში დაიბადა და კარიერაც გერმანიაში გაატარა. თამაში 1991 წელს „ჰერტაში“ დაიწყო, რასაც „ჰამბურგი“ და „ლევერკუზენი“ მოჰყვა. შემდეგ ორი სეზონი „ბაიერნში“ ითამაშა და 2003 წელს ისევ „ჰერტაში“ დაბრუნდა.

* * *

შესარჩევი ეტაპის ვარსკვლავი: დარიო სრნა პირველ მაისს 24 წლის გახდება, მაგრამ საკმაო ხანია, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. 2004 წელს სპლიტის „ჰაიდუკიდან“ დონეცკის „შახტარში“ გადავიდა, სადაც მარჯვენა მცველად თამაშობს. ნაკრებში იგი ნახევარმცველია. ხშირად ერთვება შეტევაში, გამოირჩევა სახიფათო ჩაწოდებებით და გოლების გატანა თავადაც შეუძლია. შესარჩევ ეტაპზე ბრწყინვალედ ითამაშა და ხორვატებმა შვედებს ორივე შეხვედრა მისი გოლებით მოუგეს.

* * *

ახლანდელი ვარსკვლავი: დადო პრსო 1974 წლის 5 ნოემბერს ზადარში დაიბადა. 17 წლის იყო, ადგილობრივ კლუბში თამაში რომ დაიწყო. მან არაერთი კლუბი გამოიცვალა, მაგრამ სახელი „მონაკოში“ გაითქვა. „მონაკომ“ ჩემპიონთა ლიგის ყველაზე უხვგოლიან მატჩში 8:3 გაანადგურა ლა კორუნიის „დეპორტივო“. ეს შეხვედრა 5 ნოემბერს, პრსოს დაბადების დღეს დაემთხვა და მან 4 გოლი გაიტანა. 2004 წელს იგი „რეინჯერსში“ გადავიდა და დღემდე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირია.

* * *

ლეგენდა: დავორ შუკერი, რომელიც 1998 წლის მუნდიალზე ხორვატიის გმირად იქცა და 7 მატჩში 6 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იგი ოსიეკში 1968 წლის 1 იანვარს დაიბადა და კარიერა 1984 წელს ადგილობრივ კლუბში დაიწყო. შემდეგ იყო ზაგრების „დინამო“ და ესპანური „სევილია“. ევრო 96-ზე კარგი თამაშისა და სამი გატანილი გოლის მერე კი მადრიდის „რეალში“ გადავიდა. ამას ინგლისური „არსენალი“ და „ვესტ ჰემი“ მოჰყვა, ხოლო კარიერა გერმანულ „მიუნხენში“ დაასრულა. ნაკრებში მან 69 მატჩში 45 გოლი შეაგდო, რაც საუკეთესო შედეგია, ხოლო იუგოსლავიის სახელით — 2 მატჩში ერთი გოლი მიითვალა. რამდენიმე წლის წინ მან ზაგრებში თავისი სახელობის საფეხბურთო აკადემია გახსნა.

დადო პრსო

დავორ შუკერი

* * *

+ ხორვატებს შეტევა უყვართ, მაგრამ ამავე დროს სჯერათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დაცვის ხაზი აქვთ მსოფლიოში. ამაზე ფაქტები მეტყველებს — შესარჩევ ეტაპზე ათი მატჩიდან ექვსში ნაკრებს გოლი არ გაუშვია.

* * *

– არასტაბილურობა. ზედმეტი თავდაჯერებულობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ხორვატებს სუსტ მეტოქეებთან მოულოდნელი წაგორხილებით საქმის გაფუჭება სჩვევიათ.

* * *

აზრი: „ხორვატიისთვის ჯგუფიდან გასვლა უკვე კარგი შედეგი იქნება“ — ანტუნ სამოვოისკა, სპორტული ჟურნალისტი.

ხორვატიის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

13 ივნისი	ბრაზილია — ხორვატია	ბერლინი
18 ივნისი	იაპონია — ხორვატია	ნიურნბერგი
22 ივნისი	ხორვატია — ავსტრალია	შტუტგარტი

ხორვატიის გზა ფინალური ეტაპისაკენ

04.09.2004	ხორვატია — უნგრეთი	3:0
08.09.2004	შვედეთი — ხორვატია	0:1
09.10.2004	ხორვატია — ბულგარეთი	2:2
26.03.2005	ხორვატია — ისლანდია	4:0
30.03.2005	ხორვატია — მალტა	3:0
04.06.2005	ბულგარეთი — ხორვატია	1:3
03.09.2005	ისლანდია — ხორვატია	1:3
07.09.2005	მალტა — ხორვატია	1:1
08.10.2005	ხორვატია — შვედეთი	1:0
12.10.2005	უნგრეთი — ხორვატია	0:0

საბოლოო ცხრილი

ხორვატია	10	7	3	0	21:5	24
შვედეთი	10	8	0	2	30:4	24
ბულგარეთი	10	4	3	3	17:17	15
უნგრეთი	10	4	2	4	13:14	14
ისლანდია	10	1	1	8	14:27	4
მალტა	10	0	3	7	4:32	3







ბექემის თავი ტოტალიზატორში

ნაწნავებზე რამდენი უწერია?



საბუქმეიკერო კანტორებში, მოგეხსენებათ, მხოლოდ სპორტული ანგარიშების გამოცნობაზე არ იღებენ ფსონს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ პირდაპირ „უილიამ ჰილის“ ახალ ფსონზე ვთქვათ. ამ სოლიდურმა და უცნობილესმა ორგანიზაციამ ფულის მიღება დევიდ ბექემის სამუნდიალო ვარცხნილობის გამოცნობაზე დაიწყო.

საქმე ის გახლავთ, რომ ბექემი, ალბათ მეუღლის წაქეზებით, ყოველი დიდი შეჯიბრის წინ იმიჯს იცვლის ხოლმე. უეჭველია, მოახლოებულ მუნდიალს ინგლისის ნაკრების კაპიტანი ახალი ვარცხნილობით შეხვდება, მაგრამ როგორით? აი, სწორედ აქ, საქმეში ბუქმეიკერები ჩაერივნენ.

ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი თამაში პარაგვაისთან აქვს და „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტების მიხედვით, ყველაზე დიდი შანსია ბექემი ამ მატჩზე თავგადაპარსული გავიდეს.

სახალისო ცნობა: თავხოტორობაზე კოეფიციენტი ახლა დავარდა, თორემ სულ ცოტა ხნის წინ, ყველაზე მოსალოდნელი, თავზე ლენტწაკრული ბექემის ხილვა იყო. უფრო ბევრი ფულის შოვნის შანსი გაქვთ, თუ ბექემი პანკურ ვარცხნილობას გაიკეთებს, უმაღლესი კოეფიციენტი კი ბექემის თავზე ზანგურ წვრილ ნაწნავებს აქვს.

იკითხავთ, კი მაგრამ ვინ ადგენს ამ კოეფიციენტებსო.

მოგახსენებთ: „უილიამ ჰილმა“ კონსულტანტად ბრიტანეთს წლის საუკეთესო დალაქი ლიზ შეპარდი დაიქირავა, ვინაც მოდის ტენდენციებიც იცის და ბექემის გემოვნებაშიც გაეგება რაღაც.

„უილიამ ჰილი“ კოლექტიურ ვარცხნილობაზეც იღებს ფსონებს. მაგალითად, მოედანზე გასულ თერთმეტივე ინგლისელს ერთნაირი ფერის თმა ექნება თუ არა.

კოტე კეკელია

იტალიური „რომა“ მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. რომაელებს დავიდ პიზაროს და სტეფან აპიას შეეძენა სურთ. პიზარო შარშან ზაფხულს „უდინეზედან“ „ინტერში“ გადავიდა და სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, აპია კი „ფენერბაჰჩეშია“ და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

ბრაზილიური „პალმეირასის“ მწვრთნელი ემერსონ ლეაო მოხსნეს. გუნდს დროებით მარსელო ვილასი უთავკაცებს. ლეაო, რომელიც ექვსი წლის წინ ბრაზილიის ნაკრებს წვრთნიდა, „პალმეირასში“ შარშან ივნისში მივიდა, მაგრამ საქმე ვერ ააწყო.

ფრანგული „სოშოს“ შვეიცარიელი ნახევარმცველი იოჰან ლონფატი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. მას კოჭის ტრავმა აქვს და სამი თვე მკურნალობა მოუწევს.

იტალიური „ლაციოს“ მეკარე ანჯელო პერუციმ კლუბთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 36 წლის პერუცის „რომა“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ვეტერანმა გუნდის გამოცვლა არ ისურვა.

ინგლისური „ჩარლტონი“ იაპონელ ნახევარმცველ ჰიდეტოში ნაკატთი დაინტერესდა. მოგეხსენებათ, 29 წლის ფეხბურთელი „ფიორენტინას“ საკუთრებაა, მაგრამ ამ სეზონში „ბოლტონშია“ განათხოვრებული. „ჩარლტონი“ მზადაა აზიელში დაახლოებით 22 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

იტალიური „მილანის“ ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი და მესინელი სალვატორე არონიკა სერია A-ს ორ მატჩს გამოტოვებენ. გასულ უქმეებზე მათ ერთმანეთთან იჩხუბეს, წითელი ბარათებიც მიიღეს და დისციპლინარულმა კომიტეტმა მოჩხუბრები ასე დასაჯა.

გერმანული „ჰამბურგის“ ლეგიონერ ვან დერ ვაარტს კოჭზე მეორე ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზად იქნება. ჰოლანდიელი პირველად დეკემბერში დაშავდა და მარტისთვის გამოკეთდა, ერთი კვირის წინ კი ტრავმა კვლავ მიიღო. „ჰამბურგის“ მეორე ჰოლანდიელი ნიჯელ დეიონგიც საოპერაციოა. მას მუხლი აწუხებს. ვან დერ ვაარტი 13 მაისს „ვერდერთან“ ალბათ ითამაშებს, დეიონგი კი — ვერა.

იტალიური „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს რუმინელი პაულ კოდრია გუნდს დატოვებს. „ნახევარდაცვაში პრობლემები შეგვექმნა. კორინის და მუტარელის ბევრი ვაუცდათ, ხოლო მათმა შემცვლელებმა იმედი ვერ გაამართლეს. ამიტომ გადახალისებაა საჭირო და აქედანვე შეიძლება, ვთქვა, რომ კოდრია გუნდს დატოვებს“ — თქვა ძამპარინიმ.

ინტერი ხლართავს

ობაფემი მარტინსი

ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ ეგებ სეზონის ბოლოს „ინტერი“ დატოვოს. ეს მან ცოტა ხნის წინ თავადაც განაცხადა და იტალიაში უკვე მის საკარაუდო შემცვლელებზე ბჭობენ.

აპენური პრესის ცნობით, ადრიანოთი ყველაზე მეტად „რეალი“ დაინტერესებული. მადრიდელთა ხელმძღვანელობამ უკვე აღნიშნა, რომ ბრაზილიელის ყიდის თავდაჩსხმელის დამატება სურს. როგორც ამბობენ, „სამეფო კლუბი“ „ინტერს“ ადრიანოს სანაცვლოდ რონალდოსა და ანტონიო კასანოს შესთავაზებს. მეორე ვარიანტი კი საკმაოდ სოლიდური თანხა და კასანოა. ადრიანო 30-35 მილიონი ევრო ღირს.

„ინტერს“ ალბათ ორივე წინადადება დაინტერესებს, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნებ მეორე გამოდგეს, რადგანაც თანხის გარკვეული ნაწილით „პალერმოს“ ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოშის იყიდის. მას ხომ „ნერაზურის“ დიდი ხანია, უტრიალებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტიერი ანრით „რეალი“ და „ბარსელონა“ არიან დაინტერესებულნი, „ინტერი“ ხელის ჩაქნევას არ აპირებს და ფრანგისთვისაც გაიბრძოლებს. „ნერაზურის“ მფლობელ მასიმო მორატის ანრის ყიდვა ძალიან უნდა და მზადაა, მისთვის გვარიანი თანხა გაიღოს.

ამბობენ, „ინტერი“ „არსენალს“ ფუტთან ერთად ობაფემი მარტინსს შესთავაზებსო. ადრიანოსი არ იყოს, ეს სეზონი ნიგერიელმაც ჩააგდო. მარტინსით ასევე „ტოტენჰემი“, „ნიუკასლი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყოფილან დაინტერესებულნი. „არსენალის“ თავკაც არსენ ვენგერს კი არასოდეს დაუმალავს, რომ ახალგაზრდა აფრიკელის თამაში ძალიან მოსწონს.

კოტი კანდელაკი

ჩემი სახლიდან შენს სახლამდე



სენეგალის ნაკრების მწვრთნელობა ჯოვანი ტრაპატონის შესთავაზეს. მხცოვანი იტალიელი ამ ზამთარს „შტუტგარტიდან“ გაუშვეს, სადაც ნახევარი სეზონი გაატარა, 2004-2005 წლებში კი ლისაბონის „ბენფიკას“ თავკაცობდა და ჩემპიონი გახადა.

ტრაპატონი არ უარყოფს, რომ სენეგალელებს ესაუბრა. „ბევრს ვერაფერს გეტყვით. რამდენიმე წინადადება მივიღე, მაგრამ მთავარი ისაა, თუ რა მანძილი იქნება ჩემი სახლიდან სამუშაო ადგილამდე“ — თქვა იტალიელმა.

სენეგალი წლეულს მუნდიალზე ვერ მოხვდა და არ უნდათ, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატსაც დააკლდნენ, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გაიმართება.

ჯოვანი ტრაპატონიმ „იუვენტუსში“ მუშაობისას მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. შემდეგ იყო „ინტერი“, მიუნხენის „ბაიერნი“ და „ფიორენტინა“. 2000-ში იტალიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე „სკუადრა აძურა“ მერვედფინალში სამხრეთ კორეასთან დამარცხდა, ევრო 2004-ზე კი ჯგუფიდან ვერ გავიდა და ტრაპატონი მარჩელო ლიპიმ შეცვალა.

ბაიერნი ჰამბურგს უტევს, დეპრესია — დაისლერს

„ჰამბურგის“ მცველ დანიელ ვან ბუიტენს მიუნხენის „ბაიერნმა“ დაადგა თვალი. „მარსელის“ ყოფილ ვარსკვლავს სამი წლის წინ არაერთი გრანდი უტრიალებდა, მაგრამ 2004-ში იგი „ჰამბურგმა“ შეიძინა. ამჟამად 28 წლის ფეხბურთელი ტრავმას მკურნალობს და ამ სეზონში ველარ ითამაშებს. „ჰამბურგის“ აცხადებს, რომ ვან ბუიტენს 10 მილიონ ევროდ გაყიდის.

„არ მჯერა, რომ რომელიმე კლუბმა, ვან ბუიტენში ამდენი გადაიხადოს. ჩვენ მთავარ ფეხბურთელებთან განშორებას არ ვაპირებთ და მათ დიდ ფასებს ვადებთ, ხოლო თუ „ბაიერნი“ მაინც დაინტერესდება, ესე იგი მართლაც კარგი გუნდი და მაღალი კლასის მოთამაშეები გვყავს“ — თქვა „ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაერსდორფერმა.

ბაიერნული თემა სებასტიან დაისლერით გავაგრძელოთ, რომელსაც ისევ დეპრესია დაეწყო. 26 წლის ნახევარმცველს ძალიან გაუჭირდა იმასთან შეგუება, რომ მუხლის ტრავმის გამო 6 თვე ვერ ითამაშებს და შესაბამისად მუნდიალს გამოტოვებს. მან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ანალოგიური ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ბოლო 8 წელიწადში უკვე 5 ოპერაცია გაიკეთა და კიდევ ერთი ელის. დაისლერმა სამკურნალოდ იმავე ფსიქიატრიულ კლინიკას მიაკითხა, რომელშიც 3 წლის წინ იყო.

„არ მინდა, დაბრუნების ზუსტი თარიღი დავთქვა. თანაც „ბაიერნი“ არაფერს მთხოვს და ვადებს არ მინიშნავს. როდესაც კარგ ფორმაში ვიქნები, მინდორსაც მაშინ დავუბრუნდები“ — აღნიშნა „ბასტი ფანტასტიმ“.

გიორგი კაკაბაძე

ზიდანის ბოლო ბერნაბეუ

ზინედინ ზიდანი ბოლო მატჩს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შვიდ მაისს ითამაშებს „ვილიარეალთან“. ლეგენდარულმა ფრანგმა უკვე ამცნო მსოფლიოს თავის გადაწყვეტილების შესახებ — ზიზუ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საერთოდ გამოემშვიდობება დიდ ფეხბურთს. „რეალში“ კი უკანასკნელ თამაშს პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „სევილიასთან“ გამართავს სტუმრად.

სამეფო გუნდის ვარსკვლავი დიდი ფეხბურთიდან ორი მიზეზის გამო მიდის — მოედანზე ძველებური ენთუზიაზმით ველარ გამოდის და ტრავმებმაც ძალიან გატანჯა. ტყუილად ემუდარებოდა „რეალის“ მწვრთნელი ლოპეს კარო ზიდანს, დარჩი, „ბერნაბეუზე“ კიდევ ბევრი შესანიშნავი მატჩი გელოდებაო. ფრანგმა სამეფო თეთრებთან კიდევ ერთი სეზონით დარჩენაზე კატეგორიული უარი თქვა.

ამჟამად დიდ გალს ელჩობას სთავაზობენ. „რეალის“ პრეზიდენტ ფერნანდო მარტინის მოსაზრებით, ზიდანი მსოფლიოში სამეფო გუნდის ელჩი უნდა გახდეს. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თავად ზიზუს გადასაწყვეტია.

ლადო ხომერიკი

ძმაკაცები ყოფილან

დინი და სკოლარი

ლუიშ ფელიპე სკოლარის კვლავაც განიხილავენ სვენ გორან ერიკსონის შემცვლელად, მაგრამ ბრაზილიელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან კონტაქტს უარყოფს.

ასოციაციის წევრი, „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი ძალაზეა. მას უნდა, რომ შვედი სწორედ ბრაზილიელმა შეცვალოს და აი, თურმე რატომ: სკოლარი და დინი მეგობრები ყოფილან.

ეს ამბავი პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა გუშინ გაამხილა: „ჩვენ მეგობრები ვართ. რამდენიმე წლის წინ, როცა მას „არსენალისთვის“ ფეხბურთელები სჭირდებოდა, რჩევას მეკითხებოდა ხოლმე. სულ ესაა. ამ ფაქტს ინგლისის ნაკრების მწვრთნელად ჩემ შესაძლო დანიშვნასთან კავშირი არ აქვს. დინი ამ საქმეში უბრალოა. თანაც მე უკვე შევბრიდი პორტუგალიურ მედიას და ქვეყნის ფეხბურთის შეფს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე მხოლოდ პორტუგალიის ნაკრებზე ვიფიქრებ და ვისაუბრებ. ჩემი კონტრაქტის ვადა 21 ივლისს იწურება. არ შეძლია ახლა ინგლისზე ფიქრი, მასზე რომ ვიფიქრო, პორტუგალია დამავიწყდება“.

ინგლისი

პრემიერლიგა
XXXVI ტური

ფულემი 1:0 უიგანი

1:0 მალბრანკი (45)

ფულემი: ნიემი, როსენიორი, ნაითი, პირსი, ბრიჯი, ჰ. ბ. დიოპი, ს. ელიოტი (კრისტენვალი 85), მალბრანკი, ბოა მორტე, ჰელგუსონი (რაძინსკი 72), ბ. მაკბრაიდი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

უიგანი: პოლიტი, ჩიმბონდა, ბაისი, ანშო, ჯექსონი, ბალარდი, კავანაფი, ა. კამარა, მაკკალოხი, რობერტსი, ტილი (კონოლი 87)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: მაკკალოხი, დიოპი, ბოა მორტე, რაძინსკი, მაკბრაიდი, ჩიმბონდა

მსაჯი: სტაილზი

17 149 მაყურებელი

ჩელსი	35	28	4	3	69:21	88
მანჩესტერი	35	24	7	4	68:31	79
ლივერპული	35	22	7	6	49:22	73
ტოტენჰემი	36	17	11	8	51:36	62
არსენალი	35	17	7	11	58:28	58
ნიუკასლი	36	16	6	14	46:42	54
ბლეკბერნი	35	16	6	13	46:42	54
ბოლტონი	35	14	10	11	47:39	52
უიგანი	36	15	6	15	42:46	51
ვესტ ჰემი	35	14	7	14	49:52	49
ჩარლტონი	36	13	8	15	41:49	47
ევერტონი	35	13	6	16	29:45	45
მიდლსბრო	34	12	7	15	47:55	43
ფულემი	35	12	6	17	44:55	42
სიტი	34	12	4	18	40:41	40
ასტონ ვილა	35	9	12	14	39:50	39
პორტსმუთი	36	9	8	19	34:58	35
ბირმინგემი	36	8	9	19	28:49	33
ვესტ ბრომვიჩი	36	7	8	21	29:55	29
სანდერლენდი	34	2	5	27	21:61	11

იტალია

სერია B
XXXVII ტური

ალბინოლეფე 2:0 ბარი

ატალანტა	37	21	8	8	53:35	71
კატანია	37	19	11	7	58:38	68
მანტოვა	37	17	12	8	43:32	63
ტორინო	37	16	13	8	43:31	61
ჩეზენა	37	16	12	9	56:44	60
ბრეშა	37	15	14	8	50:32	59
არეცო	37	14	14	9	39:29	56
მოდენა	37	13	15	9	49:36	54
კროტონე	37	15	9	13	43:39	54
პიაჩენცა	37	12	15	10	49:42	51
ბოლონია	37	12	15	10	41:39	51
პესკარა	37	13	9	15	34:41	48
ტრიესტინა	37	11	14	12	37:40	47
ბარი	37	11	13	13	36:40	46
რიმინი	37	10	14	13	38:42	44
ვერონა	37	9	16	12	38:37	43
ვიჩენცა	37	11	8	18	33:47	41
ალბინოლეფე	37	8	15	14	32:43	39
აველინო	37	8	13	16	37:58	37
ტერნანა	37	7	15	15	30:49	36
კრემონეზე	37	6	10	21	31:49	28
კატანძარო	37	7	7	23	22:49	28

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXV ტური

ამიენი 0:0 სედანი

ვალანსიენი	35	19	11	5	47:26	68
სედანი	35	17	14	4	46:28	65
ლორიანი	35	17	11	7	45:23	62
კაენი	35	16	12	7	51:31	60
დიჟონი	35	15	11	9	44:30	56
ბასტია	35	16	8	11	44:35	56
კრეტეი	35	12	14	9	43:29	50
ლე ავრი	35	12	14	9	46:40	50
გენგამი	35	11	14	10	33:27	47
მონპელიე	35	12	10	13	32:38	46
რეიმსი	35	10	15	10	30:23	45
გრენობლი	35	11	11	13	38:43	44
გენიონი	35	10	14	11	25:34	44
შატორუ	35	9	13	13	42:44	40
ისტრი	35	10	10	15	28:44	40
ამიენი	35	8	15	12	30:40	39
ბრესტი	35	7	14	14	30:46	35
ლავალი	35	8	8	19	33:53	32
კლერმონი	35	8	8	19	28:54	32
სეტე	35	3	11	21	27:54	20

გერმანია

II ბუნდესლიგა XXXI ტური

ფიურტი 1:1 კოტბუსი

ბოხუმი	31	18	8	5	52:23	62
ალემანია	31	19	4	8	57:34	61
კოტბუსი	31	15	9	7	46:30	54
ფიურტი	31	13	9	9	47:40	48
ფრაიბურგი	31	13	8	10	37:32	47
კარლსრუე	31	13	8	10	42:39	47
აუე	31	12	9	10	36:33	45
პადერბორნი	31	12	7	12	42:31	43
ჰანზა	31	13	4	14	42:42	43
ბურგჰაუზენი	31	11	10	10	38:45	43
ბრაუნშვაიგი	31	12	4	15	34:39	40
მიუნხენი	31	10	9	12	39:40	39
უნტერჰახინგი	31	11	5	15	41:45	38
ოფენბახი	31	10	7	14	36:52	37
ზაარბრიუკენი	31	10	5	16	35:58	35
დინამო	31	9	7	15	32:42	34
ალენი	31	8	8	15	33:45	32
ზიგენი	31	6	7	18	31:50	25

პორტუგალია

სუპერლიგა
XXXII ტური

აკადემიკა 0:3 ბრაგა

0:1 ნუნუ ფრეშაუ (21), 0:2, 0:3 ჟოაუ ტომაში (56, 72)

პორტუ	32	23	6	3	50:14	75
სპორტინგი	32	20	6	6	46:23	66
ბენფიკა	32	19	7	6	49:26	64
ბრაგა	32	17	6	9	37:20	57
ბოავიშტა	32	12	13	7	36:27	49
ნასიონალი	32	13	9	10	38:31	48
სეტუბალი	32	14	3	15	27:31	45
მარიტიმუ	32	10	12	10	35:34	42
ლეირია	32	11	8	13	37:40	41
ამადორა	32	10	9	13	29:33	39
ბელენენსეში	32	11	5	16	40:41	38
ფერეირა	32	10	8	14	34:47	38
აკადემიკა	32	10	7	15	35:46	37
ჟილ ვისენტე	32	10	6	16	35:41	36
ნავალი	32	10	6	16	34:46	36
გიმარაეში	32	8	10	14	27:37	34
რიუ ავე	32	8	10	14	31:45	34
პენაფიელი	32	2	9	21	21:59	15

კოსტარიკელთა მწვრთნელმა ალეშანდრე გიმარაეშმა 28 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ამ ნუსხას 15 მაისისთვის ხუთი კაცი მოაკლდება. შევახსენებთ, რომ კოსტა რიკა გერმანიასთან, პოლონეთთან და ეკვადორთან ერთად A ჯგუფშია. ალეშანდრე გიმარაეშის გუნდი ჩემპიონატამდე სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 24 მაისს ბარსელონაში კატალონიის ნაკრებს ეთამაშება, 28 მაისს უკრაინას — კიევში და 30-ში ჩეხეთს — პრაღაში.

მეკარეები: ხოსე იდალგო (საპრისა), ალვარო პიზარო (ალახუელენსე), ადრიან კალდერონი (ბრუხასი), ალვარო მურილიო (ერედიანო);

მცველები: ჟერვის დრუმონდი (საპრისა), არონდ მაკდონალდი (ალახუელენსე), როი ერნანდესი (ბოდიო გლიმტი, ნორვეგია), კარლოს კარპიო (ერედიანო), ლეონარდო არსე (ერედიანო), გაბრიელ სეგურა (საპრისა), ლუის მარინი (ალახუელენსე), მაიკლ როდრიგესი (ალახუელენსე), ჟილბერტო მარტინესი (ბრეშა, იტალია), მაიკლ კორალესი (ბრუხასი);

ნახევარმცველები: რანდალ კორალესი (საპრისა), დუგლას სეკეირა (სოლტ ლეიკი, აშშ), კრისტიან მონტეროი (ალახუელენსე), მაურისიო სოლისი (კომუნიკასიონსი, გუანა), დანი ფონსეკა (კარტახენა), ვალტერ სენტენო (საპრისა), კრისტიან ბოლანოსი (საპრისა), ბრაიან გონსალესი (ალახუელენსე), კარლოს ვალვერდე (ალახუელენსე), კურტ სიმპსონი (პუნტარენასი);

თავდამსხმელები: რონალდ გომესი (საპრისა), ალვარო საბორიო (საპრისა), ვიქტორ ნუნიესი (კარტახენა), პაულუ მანჩოპე (ერედიანო)

სარგებელი ¾ კრეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაბაზისტთან

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		26 აპრილი						
22:45	3	ვესტ ჰემი-ლიდერბული	4.10	3.30	1.85	1.82	1.27	1.18
		29 აპრილი						
15:30	4	ბოლტონ-მანჩესტერი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
18:00	5	ლიდერბული-ასტონ ვილა	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
18:00	7	ხიტი-ფულჰემი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
18:00	8	მიდლსბრო-ფულერტონი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	9	ბირმინგემი-ნიუკასლი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
18:00	10	უიგანი-პორტსმუთი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
20:15	11	ნორიჩი-ბლეკბერნი	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
		30 აპრილი						
19:00	12	ტოტენჰემი-ბოლტონი	1.60	3.40	5.80	1.08	1.25	2.14
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		30 აპრილი						
16:30	16	ბრაიტონი-სტოკი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
16:30	17	ბარნლი-ლუტონი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
16:30	18	ქოვენთრი-კარლაილი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
16:30	19	ქრიუ-მილუოლი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
16:30	20	დერბი-ფენსლი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
16:30	21	ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
16:30	22	პლიმუთი-იფსვიჩი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
16:30	23	პრესტონი-ლიდსი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
16:30	24	რეადინგი-ჭკრ	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
16:30	25	შეფილდი-კრისტალ პალასი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
16:30	26	საუთჰემპტონი-ლესტერი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
16:30	27	უოტფორდი-პალი	1.60	3.50	4.70	1.09	1.19	2.00
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		29 აპრილი						
18:00	70	აბერდინი-პიტერჰიანი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
18:00	72	დანდი იუნაიტედი-ფალკირკი	2.05	3.00	3.40	1.21	1.27	1.59
18:00	73	ლივინგსტონი-ინვერნესი	2.80	3.10	2.30	1.47	1.26	1.32
18:00	74	მოთერველი-დანფერმლაინი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
		30 აპრილი						
17:00	75	პარიხი-სენტეტი	2.60	3.10	2.45	1.41	1.26	1.36
		შვეიცარია. ხუპერლიგა						
		26 აპრილი						
20:45	124	ჭაბაჭი-ციურიხი	3.60	3.40	1.85	1.74	1.22	1.19
		შვეიცარია. ნელენუელიგა						
		26 აპრილი						
21:30	131	�i-შო დე ფონი	2.00	3.10	3.10	1.21	1.21	1.54
		იტალია. სერია A						
		30 აპრილი						
17:00	141	კალიარი-პარმა	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
17:00	142	კიეტი-რომა	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
17:00	143	ემპოლი-ინტერი	4.30	3.10	1.85	1.80	1.29	1.15
17:00	145	ლაციო-ლეჩე	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
17:00	146	მილანი-ლიეორნი	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
17:00	148	პალერმო-ფიორენტინა	3.30	2.90	2.15	1.54	1.30	1.23
17:00	149	რეჯინა-მესინა	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
17:00	150	სამპდორია-უდინეზე	3.10	1.70	4.70	1.09	1.86	1.24
17:00	151	ხეგნა-იუვენტუსი	6.00	3.50	1.50	2.21	1.20	1.04
17:00	153	ტრევიზო-ასკოლი	4.00	2.20	2.30	1.41	1.46	1.12
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		29 აპრილი						
23:45	185	ბარსელონა-კადისი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
22:00	187	ბეტისი-ბილბაო	2.15	3.00	3.50	1.25	1.33	1.61
22:00	189	ესპორტივო-სელტა	2.10	3.00	3.50	1.23	1.31	1.61
		30 აპრილი						
21:00	184	ატლეტიკო-მალიორკა	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
19:00	188	ხეტაფე-ვალიადოლიდი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
19:00	190	მალაგა-რასინგი	2.65	3.20	2.50	1.44	1.28	1.40
23:00	191	ოსასუნა-რეალი	2.85	3.10	2.40	1.48	1.30	1.35
19:00	192	სიხიდადი-სევილია	2.45	3.10	2.80	1.36	1.30	1.47
19:00	193	ვალენსია-ალავესი	1.40	4.20	7.00	1.04	1.16	2.62
19:00	195	სარაგოსა-ესპანიოლი	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
		ხაფრანგეთი. I დივიზიონი						
		29 აპრილი						
19:15	211	ლანსი-ლილი	2.25	2.90	3.30	1.26	1.33	1.54
		30 აპრილი						
18:30	207	აიაქიო-ნიცა	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:30	209	ბორდო-ლენ მანი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
23:00	212	ლიონი-სენ ეტიენი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
18:30	214	მეცი-ხიმში	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
18:30	215	მონაკო-ნანტი	1.75	3.20	4.35	1.13	1.24	1.84
18:30	217	სტრასბურგი-ნანსი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
18:30	218	ტრუა-ბორდო	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		28 აპრილი						
22:30	221	კაენი-ბაიონეი	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
22:30	222	დიეპი-ტროეზი	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
22:30	223	გრენობლი-ბრესტი	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
22:30	224	ბენიონი-მონტელიე	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
22:30	225	ისტრი-რეიმსი	1.80	3.00	4.50	1.12	1.28	1.79
22:30	226	ლორიანი-ამიენი	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
22:30	227	სედანი-ვალენსიენსი	2.25	2.70	3.30	1.22	1.33	1.48
22:30	228	სეტე-ლავალი	2.75	2.80	2.60	1.38	1.33	1.34
22:30	229	ტულუზი-გენგამპი	2.30	3.00	2.90	1.30	1.28	1.47
		ჰოლანდია. I დივიზიონი პლეი ოფი						
		26 აპრილი						
22:00	254	ჰერენვენი-როდა	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
22:15	581	აიაქსი-გრონინგენი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
21:00	582	ვიტესი-ნაიმეგენი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
22:00	583	უტრეხტი-ტვენტე	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		ბელგია						
		26 აპრილი						
19:00	318	ჰენტი-ბრუგი	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
19:00	319	ბრუინრამი-ანტვერპი	2.10	3.00	3.10	1.23	1.25	1.52
19:00	320	ლიერსი-ხლოვაცკი	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
19:00	321	სტანდარტი-ლოკერენი	2.00	3.00	3.45	1.20	1.26	1.60
19:00	322	ტუბლიცე-ბლუნანი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
19:00	323	ზულთე-ვარეგემი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
		27 აპრილი						
19:00	316	ანდერლეხტი-ანდერლეხტი	2.25	2.90	3.00	1.26	1.28	1.47
19:00	317	ბოლონიელი-სენარტა	3.20	3.00	2.10	1.54	1.26	1.23
		დანია. სუპერლიგა						
		26 აპრილი						
20:00	484	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	5.00	3.70	1.55	2.12	1.18	1.09
		დანია. I დივიზიონი						
		26 აპრილი						
20:30	354	იუტლანდია-ფრედერიკია	2.35	3.60	2.50	1.42	1.21	1.47
20:30	355	ბრაბრანდი-ალბერტსლუნდი	2.20	3.50	2.75	1.35	1.22	1.53
20:30	356	ნეიბინგი-ბრაიენსლეი	1.45	4.20	5.20	1.07	1.13	2.32
21:00	357	ჰელეროუპ-ლიუნგბუ	3.40	3.70	1.80	1.77	1.17	1.21
21:00	358	ხეიერდალ-კოლდინგი	3.80	3.70	1.70	1.87	1.17	1.16
21:00	359	ჰერფოლბგ-კიოგე	2.45	3.60	2.30	1.45	1.18	1.40
		შვედეთი. ალსვენსკა						
		26 აპრილი						
21:00	387	ალმჰარადი-გაის	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
21:00	389	კალმარი-მალმიო	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
21:00	391	ელფსბორგი-ჰეკენი	1.70	3.40	4.80	1.43	1.25	1.99
		27 აპრილი						
21:00	390	ოსტერსუნდ-ოსტერგოიტლ	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
21:00	392	გეფლე-ჰელსინგბორგი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
21:00	393	გოტენბორგი-ჰაბარი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
22:00	394	აიკ-ურეგორდენი	3.60	3.20	2.00	1.69	1.28	1.23
		შვედეთი. სუპერლიგა						
		26 აპრილი						
21:00	399	ქალმარი-ასირიანა	4.20	3.70	1.65	1.96	1.18	1.14
		27 აპრილი						
21:00	400	ლინეფოგორნა-ფენსბი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
		ფინეთი						
		27 აპრილი						
19:30	406	ჰ�i-ლაჰტი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
19:30	407	ტაფერი-ტამპერე	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
19:30	408	ჯიუპეი-ჯიპ	2.05	3.30	3.10	1.26	1.23	1.59
19:30	409	მარიეჰამნი-ჰონკა	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
20:00	410	ჰაკა-ტურკუ	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		ჩემპიონთა ლიგა						
		26 აპრილი						
22:45	465	ბარსელონა-მილანი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
		ევროპა თასი						
		27 აპრილი						
23:00	466	მიდლსბრო-სტიაუა	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
23:30	467	სევილია-შალკე	1.85	3.20	4.10	1.17	1.27	1.79
		გერმანია. თასი						
		29 აპრილი						
22:00	468	ინტერბეტი-ბაიერნი	6.50	3.70	1.50	2.35	1.21	1.06
		ხაფრანგეთი. თასი(ფინალი)						
		29 აპრილი						
22:45	584	მარსელი-ბუტ	2.75	2.70	2.75	1.36	1.37	1.36
		ჰოლანდია. თასი						
		26 აპრილი						
19:00	469	ზაგლებე-ფლეიკი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		დანია. თასი						
		27 აპრილი						
21:00	470	ოლბორგი-რანდერსი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22.00	471	ბრონდბიუ-ესბიერგი	1.55	3.70	5.20	1.09	1.19	2.16
		ლიბერტადორესის თასი						
		26 აპრილი						
23:45	487	ალმეირანი-სან პაულო	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
23:45	488	რიკერ პლეიტი-კორინთიანსი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
23:45	489	ნიუელი-ინდიპენდიენტე	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
		27 აპრილი						
23:45	490	ნაციონალი-ატლეტიკო ნაციონალი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
23:45	491	ნიუელი-ელენა	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
23:45	492	ტოტენი-ლიბერტადი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	4.50	2.00	2.25	1.38	1.50	1.05
10465	ბარსელონა-მილანი	2.10	2.10	4.30	1.04	1.41	1.41
10466	მიდლსბრო-სტიაუა	2.15	2.00	4.90	1.03	1.49	1.42
10467	სევილია-შალკე	2.25	2.00	4.50	1.05	1.50	1.38

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	5.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.50
11465	ბარსელონა-მილანი	2.30	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	5.50
11466	მიდლსბრო-სტიაუა	2.50	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11467	სევილია-შალკე	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	6.50	20.00	10.00	5.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	1.70	1.90
12465	ბარსელონა-მილანი	1.60	2.00
12466	მიდლსბრო-სტიაუა	1.60	2.00
12467	სევილია-შალკე	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	1.70	1.90
13465	ბარსელონა-მილანი	1.70	1.90
13466	მიდლსბრო-სტიაუა	1.70	1.90
13467	სევილია-შალკე	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მასპინძის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე მცენი ფასებლად ითვლება)

14003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	2.30	1.60
14465	ბარსელონა-მილანი	1.55	2.20
14466	მიდლსბრო-სტიაუა	1.45	2.40
14467	სევილია-შალკე	1.55	2.20

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	3.00	2.80	2.00
15465	ბარსელონა-მილანი	3.00	2.80	2.00
15466	მიდლსბრო-სტიაუა	3.00	2.80	2.00
15467	სევილია-შალკე	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16003	ვესტ ჰემი ლიდერბული	2.60	1.35
16465	ბარსელონა-მილანი	1.32	2.40
16466	მიდლსბრო-სტიაუა	1.30	2.65
16467	სევილია-შალკე	1.35	2.50

გოლი:ფენალტი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფენალტად)

17003	ვესტ ჰემი-ლიდერბული	1.85	1.95
17465	ბარსელონა-მილანი	1.85	1.95
17466	მიდლსბრო-სტიაუა	1.85	1.95
17467	სევილია-შალკე	1.85	1.95

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

თქვენი ინტერვიუ

ზაზა ფაჩულიასთან

გემოვნებაზე დავობენ თუ არა, იმას მაინც არ გაუვა წყალი, რომ ზაზა ფაჩულია დღეს საუკეთესო ქართველი კალათბურთელია. ვლადიმერ სტეფანიამ „სარბიელთან“ ამასწინდელ ინტერვიუში თქვა, ფაჩულია უკვე მჯობნის და განვითარებას განაგრძობსო. ამ სეზონის წინ „მილუოკიდან“ „ატლანტაში“ გადასვლით ფაჩულიამ ფინანსურადაც იხეირა და სტატისტიკური მაჩვენებლებიც თითქმის ორჯერ გაიუმჯობესა. დღეს ზაზა უკვე თავისუფალია, მომქანცველი რეგალურული ჩემპიონატის შემდეგ კარგად დასვენებას აპირებს, მანამდე კი „სარბიელის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს. ესეც ჩვენი დაპირებული თქვენი ინტერვიუ...



დაიბადა 10.02.84
სიმაღლე 211 სმ, წონა-120 კგ
1997 ——— ვითა (თბილისი)
1998-03 ——— ულქერი (სტამბოლი)
2003-04 ——— ორლანდო (ნბა)
2004-05 ——— მილუოკი (ნბა)
2005-06 ——— ატლანტა (ნბა)

ბოლო სეზონის სტატისტიკა

78 თამაში; 31,4 წუთი; 11,7 ქულა; 7,9 მოხსნა; 1,7 პასი; 1,1 ჩაჭრა; 0,5 დაფარება

მანუჩარ გეგიძე

18 წლის, თბილისი

— ზაზა, შენი ფანი ვარ. მაინტერესებს, თბილისში როდის ჩამოხვალ?

— ისევე როგორც ჩემპიონატის დროს, სეზონთაშორის პერიოდშიც გრაფიკში უნდა ვიყო. ძალიან მომქანცველი სეზონი მქონდა და თუ არ დავისვენე, თავად ჩემთვის არის ცუდი. რეგულარული ჩემპიონატის 78 მატჩში მივიღე მონაწილეობა და სულ სასტარტოში ვიყავი, რამაც საკმაოდ გამომფიტა და სამომავლოდ ძალების აღდგენა მმართებს. რომელიმე კურორტზე გავატარებ რამდენიმე კვირას და როგორც ყოველ წელს, ახლაც ჩამოვალ თბილისში.

ლევან ერიაშვილი

28 წლის, წნორი

— რაც ამ სეზონში ითამაშე, ეს შენი მაქსიმუმი იყო, თუ მეტიც შეგეძლო?

— რა თქმა უნდა, მე ყოველ მატჩში მაქსიმუმს ვცდილობდი, რაც ხშირ შემთხვევაში გამომდიოდა. გასულ სეზონთან შედარებით, ახლა ჩემი მაქსიმუმი გამოვავლინე, მაგრამ მიდწეულით კმაყოფილი არ ვარ. ეს არაა ჩემი ლიმიტი, მომავალ სეზონში უფრო უკეთ უნდა ვითამაშო, იმის მერე უფრო კარგად და ასე, სანამ პიკს არ მივაღწევ. რაც მთავარია, მე ვგრძნობ, რომ გაცილებით მეტი შემიძლია.

ოთო მხეიძე

18 წლის, თბილისი

— ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდა ამ სეზონში?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიძნელდება, უფრო იოლად გავიხსენებდი შარშანდელ, შარშანწინდელ მატჩებს, რადგან ადრე გაცილებით ცოტას ვთამაშობდი. ამ სეზონში კი არაერთი მატჩი იყო, რომელიც პირადად მე მოვაგებინე „ატლანტას“. შეიძლება, ყველა ვერ გავიხსენო, მაგრამ აი, ამ გუნდებთან ნათამაშებს გამოვარჩევდი: „ორლანდო“, „მინესოტა“, „ინდიანა“ და რეგულარული ჩემპიონატის ბოლო საშინაო მატჩს „მაიამისთან“.

ფირუზი დარბაიძე

27 წლის, ჭიათურა

— რომელ გუნდში ისურვებდი თამაშს და რატომ?

— სიმართლე ვთქვა, კმაყოფილი ვარ „ატლანტაში“ ყოფნით. პირადად ჩემთვის კარგი გუნდია, განვითარებისა და თამაშის დახვეწისთვის უკეთეს გარემოს ვერც ვინატრებდი. საკმაოდ დიდი ხნით ვარ მოედანზე და პროგრესიც სახეზეა. მინდა, რაც შეიძლება დიდი გამოცდილება დავაგროვო და როცა ვეტერანი გავხდები, საჩემპიონო ბეჭედზე და ძლიერ გუნდებზე ფიქრიც მერე იყოს.

ლაშა ხურცილავა

30 წლის, თბილისი

— რამდენად ხშირი კონტაქტი გაქვს ნიკა ცქიტიშვილთან და ვლადიმერ სტეფანიასთან?

— სტეფანიასთან უფრო ხშირად ვკონტაქტობ, ძირითადად ტელეფონით, ცქიტიშვილი კი, ჩემი არ იყოს, ძალიან დაკავებულია, სულ მატჩები და ვარჯიშები აქვს. ისე, ძალიან მწყინს, ნიკას ფინიქსელები იშვიათად რომ ათამაშებენ.

— რით ახსნი ბოლო დროს ნბა-ში ევროპელების მომრავლებას და რომელია საუკეთესო ევროპელი?

— ბოლო დროს ევროპიდან მართლაც ბევრი მოთამაშე მოდის ნბა-ში. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: ნბა-ს ხელმძღვანელობას სურს, პროფესიული ლიგა მთელ მსოფლიოში გახადოს პოპულარული და ამას წმინდა ბიზნესის გამო აკეთებს. ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხა წლიდან წლამდე სწრაფი ტემპებით იზრდება. ყველა ნორმალურ ქვეყანას ნაყიდი აქვს ნბა-ს თამაშებს ტრანსლაციის უფლება, ერთი საქართველომ ვერ მოახერხა ეს. არის კიდევ ობიექტური მიზეზი: ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში კალათბურთის დონე ძალიან ამაღლდა, დანარჩენი მსოფლიო სერიოზულ კონკურენციას უწევს ამერიკას, რაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე გამოჩნდა. არამერიკელი კალათბურთელები ნბა-ს კლუბებს შესამჩნევად აძლიერებენ. ჩემი რჩეულები კი ესენი არიან: დირკ ნოვიცკი, ანდრეი კირილენკო, მეჰმედ ოქური და პრედრაგ სტიაკოვიჩი.

— რა გაკლია იმისთვის, რომ ოლ სტარში ითამაშო?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება. ერთბაშად ამხელა ნახტომის გაკეთება ძალიან ძნელია. კარგი სეზონი მქონდა, საკმაო გამოცდილება მივიღე და თუ ასე გავაგრძელებ, ოლ სტარის დროც მოვა.

მურაზ ბარათი

24 წლის, რუსთავი

— შეადარეთ გორდონ ჰერბერტის და ნბა-ს მწვრთნელების დონე და კვალიფიკაცია...

— მწვრთნელების კვალიფიკაცია ჩემი შესადარებელი არაა, ჰერბერტზე კი იმას ვიტყვი, რომ საკმაოდ ძლიერი მწვრთნელია.

— შეძლებს გორდონ ჰერბერტი საქართველოს ნაკრების მომდევნო ეტაპზე გაყვანს?

— ვნახოთ, ახლა რამის გადაჭრით თქმა ძალიან ძნელია. ისე, კალათბურთი გუნდური სპორტია. მხოლოდ ჰერბერტზე ხომ არაა გასვლა-არგასვლა დამოკიდებული... მოთამაშეებმაც მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.

— ვინ არის საქართველოს ბოლო ათი წლის საუკეთესო კალათბურთელი?

— ეგ გულშემატკივრებმა უნდა დაასახელონ. ისე, მეც მაინტერესებს, ხალხი რა აზრისაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლობჟანიძე

32 წლის, თბილისი

— ამ შესარჩევ ციკლს შემონდ უილიამსის დაუხმარებლად ვერ დავძლევთ?

— შესაძლებელია, უილიამსის დახმარება არც დაგვჭირდეს. ლაშა გამყრელიძე და გიორგი ცინცაძე თავიანთ გუნდებში ხშირად თამაშობენ და გამოცდილებაც შეიძინეს. ვფიქრობ, ეს ახალგაზრდები ნაკრებს დიდად გამოადგებიან. თანაც იმის შანსიც არის, უილიამსთან მოლაპარაკება ვერ მოხერხდეს.

თამარ პაქსაშვილი

22 წლის

— რას ურჩევდით დამწყებ კალათბურთელს, როგორ მიაღწიოს ისეთ წარმატებას, როგორსაც თქვენ მაღწიეთ?

— აქამდე გაჭირვებაც მინახავს და ტკბილი მოსაგონარიც არ მაკლია. ჩემი განვლილი გზით კმაყოფილი ვარ. ვინ ვიყავი თავიდან? კარგი მონაცემების მქონე მოთამაშე. კადეტთა ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე, როცა 16 წლის ვიყავი. ვოვამ ჩემი თამაში ნახა და თქვა, ეს ბიჭი ნბა-ში წავაო. ჩემნაირი მონაცემები ათამადე თანატოლს ჰქონდა. მაგრამ მე ალბათ იმიტომ მოვედი აქაძდე, რომ საოცრად მიზანდასახული ვიყავი. უდიდესი მონდომებით ვვარჯიშობდი. არ მახსოვს, თავი დამეზოგოს. ძალიან ბევრს ვშრომობდი და მგონი, დამიფასდა კიდეც- კარგი მონაცემები თუ გაქვს და ბევრს შრომობ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევ.

გიორგი მაისურაძე

26 წლის, ლონდონი

— როგორი უნდა იყოს იდეალური ცენტრი და ვინ არის დღეს ასეთი?

— პირველ რიგში ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს — ისეთი, როგორებიც არიან შაკილ ონილი, ბენ ვოლესი და იაო მინი. უნდა იყოს დაცვაში ძლიერი და უნდა ჰქონდეს მოხსნის კარგი ალღო. რა თქმა უნდა, მიზანიც აუცილებელია. რაც ამ მონაცემებთან ერთად კიდევ ექნება ცენტრს, მით უკეთესი. ნბა-ს უძლიერეს ცენტრებად შაკილი და მინი მიმაჩნია.

— უკვე საკმაოდ მაღალანაზღაურებადი მოთამაშე ხარ. ქართულ კალათბურთში ხომ არ აპირებ ფულის ჩადებას?

— ყველაფერი ახლა დაიწყო. ჯერ ჩემი კონტრაქტის პირველი წელი გავიდა და არ მეჩქარება. მაქვს გეგმა, რომ „ატლანტაში“ აღებული ფულის ნაწილი ქართული კალათბურთის განვითარებას მოვახმარო, მაგრამ ჯერ ამას არ ვჩქარობ. ადვილი არაა ეს საქმე, ყველაფერს დაფიქრება სჭირდება.

გოგა გობეჯიშვილი

28 წლის, ონი

— მოედანზე საკმაოდ აგრესიული ჩანხარ. ცხოვრებაში როგორი ხარ?

— მოედანზე აგრესიულობა აუცილებელია, ნბა-ში სხვანაირად დაიჩაგრები. ცხოვრებაში ასეთი ნამდვილად არ ვარ.

— ყველაზე მეტად რომელ კალათბურთელს აფასებ და რომელს ვერ იტან?

— მოედანზე რომ გავდივარ, ყველა მეტოქეს დიდი პატივისცემით ვეპყრობი. ვიცი, რომ ისინიც ჩემსავით ბევრს შრომობენ. არავისზე ვფიქრობ, რომ სუსტი მოთამაშეა. ერთადერთ ჯამალ მაგლოირს ვერ ვიტან. ის ანტიკალათბურთელია. პირადად მე ძალიან ბინძურად და არასპორტულად მეთამაშება.

— რა მანქანა გყავს და რომელზე ოცნებობ?

— BMW 745 მყავს. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ მანქანით და ვფიქრობ, სწორედ ესაა ჩემი ოცნების ავტომობილი. ნებისმიერი მანქანის ყიდვა შემიძლია, მაგრამ სურვილი არ მიჩნდება, BMW გამოვცვალო.

სალომე ბოლქვაძე

16 წლის, ბათუმი

— შარშან რომ იყიდე იური გაგარინის ნაქონი „ჩაიკა“ და თქვი, მწვრთნელს უნდა ვაჩუქოო, თუ აჩუქე?

— ეგეთი რამე არ მითქვამს. „ჩაიკა“ ჩემთვის ვიყიდე და ახლა ველოდები, რომ გაკეთდეს. მის რეკონსტრუქციას დიდი დრო სჭირდება. 6 თვეა, ხელოსნებთან არის და ზაფხულში ალბათ მზად იქნება.

— ატლანტაში საკმაოდ პოპულარული იქნები. სხვა ქალაქებში თუ გცნობენ?

— რა თქმა უნდა, სადაც ვთამაშობ, იმ ქალაქში უფრო მეტი გულშემატკივარი მყავს. ატლანტაში ძალიან ბევრი მცნობს, სხვა ქალაქებში ნაკლებად, მაგრამ უამისობაც არაა.

ალეკო მღებრიშვილი

27 წლის

— როგორი შტატია ჯორჯია და რა იციან იქ საქართველოს შესახებ?

— ატლანტა ნიუ იორკის შემდეგ მეორე ქალაქია ამერიკაში ქართველების რაოდენობის მხრივ. ჯორჯიაში საქართველოზე ბევრმა იცის, მაგრამ მას მერე, რაც „ატლანტაში“ გადმოვედი, მათი რიცხვი გაცილებით გაიზარდა.

ინგა შარვაძე

— რა მუსიკას უსმენ?

— გინდა არ გინდა, ნბა-ს მოთამაშემ ჰიპ-ჰოპს უნდა უსმინოს. დარბაზებში, გასახდელებში, ქუჩებში — ყველგან ზანგური მუსიკა ისმის და მეც სიამოვნებით ვუსმენ.

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

მეოთხე და სამართალი ჩემპიონს ტახტი მოერყა

ამ სეზონში სამი ტიტულია გათამაშებული: დუდუ დადიანის მემორიალი „ავიამშენმა“ მოიგო, ქორქია-საკანდელიძისა — „აზოტმა“, ხოლო ქვეყნის თასი „თსუ-ნიკორამ“ დაისაკუთრა. დარჩა ერთადერთი და უმთავრესი ტიტული — საქართველოს ჩემპიონობა, რომლის მოსაგებად გადამწყვეტი ბრძოლა დღეს იწყება

პლეი ოფი ნახევარფინალებით იხსნება, წყვილები კი ყველასთვის ცნობილია. რეგულარული ჩემპიონატის მომგები „ავიამშენი“ ჯერჯერობით მოქმედ ჩემპიონ სტუ-ს ხვდება, ხოლო ცხრილის კენწეროდან ბოლოწამს ჩამოგდებული „თსუ-ნიკორა“ რუსთავის გაამბიციურებულ „აზოტს“ ერკინება.

დიდმა თუ პატარამ იცის, რომ ამ ოთხეულიდან ჩემპიონობაზე რეალურ პრეტენზიას სამი გუნდი აცხადებს — „აზოტი“, „ავიამშენი“ და თსუ. ჩემპიონ სტუ-ს ტიტულის შენარჩუნების მინიმალური შანსი აქვს. ძნელია, წინასწარ იმარჩიელო, თუ ვინ გავა ფინალში და მით უფრო, ჩემპიონი ვინ გახდება. ეს, სიმართლე ითქვას, არცაა სალაპარაკო, რადგან თამაშები წინაა და ახლა უმჯობესია, თავად გუნდების სამზარეულოში შევიხედოთ.

ყველა მონაწილე საგანგებოდ ემზადება კარსმომდგარი ჯახებისთვის. რუსთავის „აზოტმა“ საამისოდ ბინაც კი იცვალა. ოთარ ხმელიძის გუნდი დილომში, „დინამოს“ განკრიალებულ ბაზაზე დასახლდა და თსუ-სთან საომრად იქ იწრთობა.

„რუსთავში სასტუმრო არაა, რათა გუნდი შეკრებაზე გადავიდეს და დილმის ბაზასაც ამიტომ მოვაშურეთ — გვითხრა „აზოტის“ თავკაცმა ოთარ ხმელიძემ — მონდომებით ვემზადებით და საბოლოოდ რა იქნება, თვითონ თამაში აჩვენებს. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ცოტა ტრავმები გვაწუხებს — ბაბიაშვილს მხარი სტკივა, იმნაძეს — ფეხი, ტუჯანის კი მაღალი წნევა ჰქონდა. ესენი ნახევარფინალში კი ითამაშებენ, მაგრამ მთლად სასურველ ფორმაში ვერ არიან.“

შარშანდელი ჩემპიონი სტუ წლევანდელ პლეი ოფს ცოტა დასუსტებული ხვდება

რუსთაველთა მოწინააღმდეგე ბანაკში კი ერთადერთი დანაკლისია: ნიკორელებს ვერ დაეხმარებათ დავით საყვარელიძე, რომელიც გლანდებმა შეაწუხა.

„10 აპრილიდან ორჯერად ვარჯიშებზე გადავედით და „აზოტთან“ მატჩებისთვის სრული დატვირთვით ვემზადებით. მეტოქე ძალიან სერიოზულია და დარწმუნებული ვარ, საკმაოდ დაძაბული მატჩები გველის. შანსებს თანაბრად შევაფასებ, ორივე გუნდს შეუძლია ფინალში გასვლა“ — იმედიანადაა ნიკორელთა თავკაცი დავით უსტიაშვილი.

შედარებით არატოლძალოვანია მეორე ნახევარფინალური წყვილი. ეს თავად გუნდის თავკაცებმაც იციან, მაგრამ ორივე მათგანი მაინც საინტერესო ბრძოლას ვარაუდობს.

ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი: „კი ვფიქრობ, რომ ფინალში ჩვენ გავალთ, მაგრამ არა მგონია, სტუ-მ იოლად დაგვითმოს რამე. ძალიან ძნელია, ზედიზედ სამი მატჩის მოგება, მით უფრო ისეთ გუნდთან, რომელმაც შარშანდელ ფინალში დაგვამარცხა.“

ნუგზარ ჭეიშვილი, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი: „უპირატესობა მეტოქის მხარესაა. „ავიამშენს“ შედარებით ძლიერი და გამოცდილი შემადგენლობა ჰყავს. თუმც უიმედოდ როდი ვართ, ბრძოლას ვაპირებთ, მით უმეტეს, პლეი ოფს თავისი სპეციფიკა აქვს, რაშიც ჩემს გუნდს გამოცდილება არ აკლია.“

მაშ ასე, დღეს, 16 საათზე, „ავიამშენი“ — სტუ-ს მატჩით პირველი ნახევარფინალური სერია იწყება. ხვალ თსუ — „აზოტია“ და ასე მონაცვლეობით, სანამ რომელიმე გუნდი სამჯერ არ იმარჯვებს და ფინალში არ გავა.

ირაკლი პერტაია

ნახევარფინალი

26 აპრილი. ვერის ბაღი
ავიამშენი – სტუ

27 აპრილი. ვერის ბაღი
თსუ-ნიკორა – აზოტი

28 აპრილი. ვერის ბაღი
ავიამშენი – სტუ

29 აპრილი. ვერის ბაღი
თსუ-ნიკორა – აზოტი

30 აპრილი. ვერის ბაღი
სტუ – ავიამშენი

1 მაისი. რუსთავი
აზოტი – თსუ-ნიკორა

2 მაისი. ვერის ბაღი
სტუ – ავიამშენი
(საჭიროების შემთხვევაში)

2 მაისი. რუსთავი
აზოტი – თსუ-ნიკორა
(საჭიროების შემთხვევაში)

3 მაისი. ვერის ბაღი
ავიამშენი – სტუ
(საჭიროების შემთხვევაში)

4 მაისი. ვერის ბაღი
თსუ-ნიკორა – აზოტი
(საჭიროების შემთხვევაში)

2006 NBA Playoffs

მებაღეს ნუ ეძებთ, ხილი მიირთვით

24 აპრილი

აღმოსავლეთი

მაიამი 2:0 ჩიკაგო

მაიამი 115:108 ჩიკაგო

მაიამი: ონილი (22), უილიამსი (22), ვეიდი (21), უოლკერი (17 ქულა, 10 მოხსნა), პოუზი (12)

ჩიკაგო: ნოჩიონი (30), ჰაინრიხი (29), დენგი (14), გორდონი (13)

შაკმა და კომპანიამ უმტკივნეულოდ მოიგეს მეორე შინაური თამაშიც და ოპტიმისტური განწყობით გაფრინდნენ ჩიკაგოში, სადაც ასევე ორი მატჩის გამართვა უწევთ იქაურ „ბულზთან“.

7-ქულიანი სხვაობით მოგება ერთი შეხედვით არც იმხელა უპირატესობაა, გვათქმევინოს, ერთმა გუნდმა მეორე დაჩაგრაო. კი, ბატონო, არ დაუჩაგრავს, მაგრამ „მაიამი“ პირველივე მეოთხედიდან დამაჯერებლად ლიდერობდა და მესამეში 20 ქულითაც გაექცა „ჩიკაგოს“, რომელიც ეს ორ მატჩია, ასე თუ ისე თამაშობს აბეზარი მეტოქის როლს, ამაზე მეტს კი ველარ ახერხებს.

ჩიკაგოელთა მეორეწლიანმა მსროლელმა ბენ გორდონმა პირველ თამაშში 35 ქულა ჩაუგდო „მაიამის“, მეორე შეხვედრაში კი არგენტინელი ანდრეას ნოჩიონი და კირკ ჰაინრიხი შეეწივნენ „ხარებს“, მაგრამ გოროზ მეტოქეს ერთი გამარჯვებაც ვერ აართვეს და ახლა შინაური კედლების იმედად არიან.

რეგულარული ჩემპიონატის თავუტკივებლად მომლევი შაკილ ონილი საპლეიოფოდ ათამაშებს კუნთებს — ჯერ 27 ქულა გააკეთა, ახლა კი — 22. მედიამ „მაიამის“ მერორე ლიდერ დუეინ ვეიდს დაუწუნა 21-ქულიანი მონაგარი, მაგრამ თავად ვეიდმა — მთავარია, მოვიგეთ და რას კითხულობთ, როგორო — აი, ასე გასცა ამ ხალხს პასუხი. თანაც სხვებმაც გამოიღეს ხელი, ცანცარა გამთამაშებელმა ჯეისონ უილიამსმა და სათადარიგო ფორვარდმა ანტუან უოლკერმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში ცვლიდა ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულ უდონის ჰეისლიმს და არცთუ ურიგოდ.

დასავლეთი

დენვერი 0:2 კლიპერსი

კლიპერსი 98:87 დენვერი

კლიპერსი: მობლი (21), ბრენდი (19 ქულა, 11 მოხსნა), კასელი (13 ქულა, 11 პასი), მეჯიტი (12)

დენვერი: კემბი (16 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება), ენტონი (16), მილერი (14), ბოიკინსი (14), ბაკნერი (14).

„დენვერ ნაგიტსს“ 1994 წლის შემდეგ არ მოუგია საპლეიოფო სერია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვერც ამჯერად მოიგებს. თავის მხრივ, არც „ლოს ანჯელეს კლიპერსია“ პლეი ოფში ჭიპმოჭრილი გუნდი, ბოლოს იქ 1997 წელს მოხვდა და გუნდის განაცხადში ჩაწერილი 12 კალათბურთელიდან 7-ისთვის ეს პლეი ოფი სადებიუტოა. მაგრამ „კლიპერსს“ ორი გამოცდილი ვეტერანი ჰყავს — სემ კასელი და კუტინო მობლი, თანაც ორივე უკანახაზელი და ახალგაზრდა მეფარეებთან შერწყმით მწვრთნელმა მაიკ დანლიკიმ ამათგან რიგიანი გუნდიც ჩამოქნა.

„კლიპერსმა“ „სტეიპლზ სენთერში“ მეორე თამაშიც მოიგო, გაცილებით დამაჯერებლადაც კი, ვიდრე პირველი. მატჩის ბედი კი უკვე პირველ მეოთხედში გადაწყდა, რომელიც „დენვერის“ რბევით დაიწყო. მასპინძლებმა ყველაფერში დაჩაგრეს სტუმრები, საწყისი 12-წუთეული 32:13 მოუგეს და აქედანვე გაარკვიეს ყველაფერი. „დენვერს“ მეორე მეოთხედშიც გაუჭირდა გონს მოსვლა — პირველი შესვენების შემდეგ მოედანზე შემოსვლისთანავე 6 ქულა მიიღო საკუთარ კალათში და მატჩის პირველ წუთში 13:38 ჩამორჩენით დათრგუნვილი მთელი დანარჩენი დრო უშედეგო და ალბათ მხოლოდ ვალის მოსახდელად მისდევდა „კლიპერსს“.

AFP მაიამიდან

ნამდვილი შაკილ ონილი პლეი ოფში გამოჩნდა

კოტე ყორშია

ევრო-აფრიკას აფრიკამ უგანა საქართველო ლიტვით იწყებს

დღეს თურქეთის კურორტ ანთალიაში, ალი ბეი მანავგათის კლუბის კორტებზე ფედერაციის თასის მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფის თამაშები იწყება და 29 აპრილამდე გაგრძელდება. წინსწარი გეგმით მასში მონაწილეობა რვა ნაკრებს უნდა მიეღო — საქართველოს, საბერძნეთს, ირლანდიას, ლატვიას, ლიტვას, პოლონეთს, პორტუგალიასა და ალჟირს, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, აფრიკელები თურქეთში არ ჩასულან და მომავალ წელს მესამე ჯგუფში ჩაქვეითებაც ავტომატურად გაინაღდეს.

შვიდეულიდან მესამე ჯგუფში კიდევ ერთი აუტსაიდერი ჩაინაცვლებს. ორი საუკეთესო კი პირველში ავა. გუშინ ტურნირის კენჭისყრა მოეწყო და ორი ქვეჯგუფი შედგა

„საქართველო სამგუნდა ჯგუფში ირლანდიასთან და ლიტვასთან ერთად მოხვდა — გვაცნობა გუშინ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა — 26 აპრილს ლიტვას ვეთამაშებით, 28-ში კი ირლანდიას.“

ჯგუფური შეხვედრების შემდეგ პირველ-მეორე ადგილზე გასულები ნახევარფინალს ითამაშებენ და ორი საუკეთესო პირველი ჯგუფის საგზურს გაინაღდებს.

ქართული გუნდის პირველნომრობას ტრადიციულად მაკა ჩახნაშვილი გასწევს. მეორე ნომერი კი ფედერაციის თასის დებიუტანტი, 18 წლის ია ჯიქია იქნება. ნაკრების კაპიტანმა ლალი ზერეკიძემ თურქეთში მესამე-მეოთხე ჩოგნებადაც დებიუტანტები იახლა — მანანა შაფაქიძე და სოფო ქვაცაბაია.



მაკა ჩახნაშვილი



ია ჯიქია

ფოტო: ფოტოგრაფიული ფასეულობა

ოთარ მაღლაკელიძე

კაცები. ბარსელონა. ესპანეთი. თიხნარი. საპრიზო ფონდი 850 000 $

პირველი წრე

ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) — ივო კლეჩი (სლოვაკეთი) —4:6 6:4 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) — 7:6 7:6; **გალო ბლანკო** (ესპანეთი) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) — 6:7 7:6 6:2; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 6:4 6:2; **გაელ მონფი** (13, საფრანგეთი) — სტეფანო გალვანი (იტალია) — 6:2 7:5; **ხუან-კარლოს ფერერო** (10, ესპანეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:1 6:2; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) — 7:6 4:6 6:1; **კარლოს კუადრადო** (ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — 4:6 6:0 6:3; **პოლანრი მატიო** (საფრანგეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა-რიკა) — 7:6 6:2; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპანეთი) — 4:6 6:4 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 6:2 6:7 6:3; **მიხაილ ბაბაშვილი** (რუსეთი) — იგორ ანდრეევი (11, რუსეთი) — 4:6 7:6 7:6; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — კარლოს მოია (15, ესპანეთი) — 7:5 6:4

AFP ინფორმაციით

ჩვენ გავიმარჯვეთ! მიხაელ შუმახერმა და ჟან ტოდტმა ფერნანდო ალონსოს და მის „რენოს“ სან მარინოს დიდი პრიზი აართვეს

რენომ ფერარის ქუდი მოუხადა

კვირას იტალიაში, იმოლას ტრასაზე მიხაელ შუმახერის გამარჯვება ალბათ კარგა ხანს იქნება მსჯელობის საგანი.

შეგახსენებთ, „წითელი ბარონი“ თავიდანვე დამაჯერებლად ლიდერობდა სან მარინოს დიდი პრიზისთვის რბოლას, მაგრამ შუა დისტანციაზე მის „ფერარის“ აშკარად მოაკლდა სისწრაფე, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ფერნანდო ალონსომ და 11-წამიანი ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. ის კი არა, ერთი-ორჯერ გასწრებაც სცადა, მაგრამ იმოლას ტრეკის სივიწროვემ ამის საშუალება არ მისცა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ლიდერის კუდში უხეირო დევნას რენოელებმა ტაქტიკის შეცვლა ამჯობინეს — ალონსო, რომელსაც მიხაელზე მეტი საწვავი ესხა და გვიანი პიტსტოპის ხარჯზე გეგმავდა წინ გასვლას და რბოლის მოგებას, ვადამდე გამოიძახეს ბოქსებში. ესეც ჭკვიანი სვლა იყო: ცარიელ ტრასაზე დაბრუნებული ნანდო სწრაფი ბოლიდით შეძლებდა დროის საკმარისი მარაგის დაგროვებას და მეტოქის პიტსტოპის შემდეგ ქარავანს სათავეში მოექცეოდა.

მაგრამ არანაკლებ ეშმაკმა ფერარელებმა მაშინვე ადეკვატური ნაბიჯი გადადგეს და ბოქსებში დაუყოვნებლივ უხმეს მიხაელს. ასე რომ, „რენოს“ ჩანაფიქრმა არ გაამართლა, შუმის, ფაქტობრივად, დრო არც დაუკარგავს, ტრასაზე ფერნანდოს ცხვირწინ დაბრუნდა და მეწინავეობა ფინიშამდე შეინარჩუნა.

ერთი სიტყვით, „ფერარიმ“ ჭკუით აჯობა „რენოს“ და აიძულა, შეეცვალა საწყისი სტრატეგია, რომელსაც ფრანგული საჯინიბოსთვის წარმატება უნდა მოეტანა, საპირისპირო შედეგი კი მოჰყვა.

შუმახერი: „პირველი პიტსტოპის შემდეგ ყველაფერი ნორმალურად იყო, მერე კი უცბად პრობლემები გაჩნდა. ყოველ წრეზე მანქანა უფრო და უფრო უარესად მიდიოდა. საბედნიეროდ, „იმოლაზე“ პრაქტიკულად შეუძლებელია გასწრება, თავად თუ არ შეცდებით. ამიტომ ფრთხილად ვიყავი იმ ადგილებში, სადაც ფერნანდოს შემოტევა შეეძლო.“

ალონსო: „მიხაელს მართლაც მალე დავეწიე მერე კი მის შეცდომას ველოდი, მაგრამ უშედეგოდ. ნორმალურ ვითარებაში, ნორმალურ ტრასაზე ამ რბოლას ჩვენ მოვიგებდით. გუნდი არ გეგმავდა მეორე პიტსტოპის ასე ნაადრევად ჩატარებას, მაგრამ შეეცვალეთ სტრატეგია, მიხაელისთვის რომ გავესწრო. იქნებ ჯობდა დაგეგმილ პიტსტოპს დავლოდებოდით... ვინ იცის? რბოლის შემდეგ ამაზე მსჯელობა ადვილია, მაშინ კი ვადაწყვეტილება უსწრაფესად უნდა მიგვეღო. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, რადგან მიხაელის უკან ჟველ წრეზე ოითქმის ორ-ორ წამს ვკარგავდი, მაგრამ დღეს ამ ხერხმა არ გაამართლა.“

შუმახერი: „ვიცოდი, რომ „რენოში“ სტრატეგია შეცვალეს და დაგეგმილზე ნაადრევი პიტსტოპი ჰქონდათ. ამიტომ მეც სწრაფად უნდა შემეელო ბოქსებში, რომ ლიდერობის შენარჩუნების იმედი დამრჩენოდა. ყველაფერი იმაზე უკეთ მოხდა, ვიდრე ვფიქრობდი და ცხადი გახდა, რომ რბოლის მოგება შეგვეძლო.“

ჟან ტოდტი, „ფერარის“ გენერალური დირექტორი: „როცა ისეთი წნეხის ქვეშ მუშაობთ, როგორც „ფერარი“ და „რენო“ იმოლაში, საინტერესო, სარისკო სვლები გარდაუვალია. დარწმუნებული ვარ, მიხაელს მანქანასთან პრობლემები ჰქონდა, თუმც ვიცოდი, რომ ბოლოს წარმატებას მაინც შეძლებდა. ვერასოდეს გავიგებთ, როგორ დასრულდებოდა ბრძოლა, ფერნანდო მიხაელზე გვიან რომ შესულიყო ბოქსებში, მაგრამ მგონია, მიხაელი რბოლას მაინც მოიგებდა. მოვლენების განვითარებაში პიტსტოპებმა არსებითი როლი ითამაშა, თუმც უფრო მნიშვნელოვანია ამ ეტაპის წინ „ფერარის“ მიერ გაწეული სამუშაო. სწორედ ამან მოგვაპოვებინა გამარჯვება.“

ჰენტ სიმონდსი, „რენოს“ ტექნიკური დირექტორი: „ქედს ვიხრი მიხაელისა და „ფერარის“ არაჩვეულებრივი სტრატეგიის წინაშე. ეჭვი არ მეპარება, რომ „ფერარიმ“ ხელოვნურად დააგდო სიჩქარე, რადგან საკმარისი იყო ფერნანდო ბოქსებში შესულიყო და მიხაელმა წრე ორი წამით უფრო სწრაფად გაიქროლა. მოწინააღმდეგის სტრატეგია მართლაც საინტერესოა, ჩვენი დანაშაული კი ისაა, რომ ვერ გავითვალისწინეთ ყველა შესაძლო ვარიანტი. ასეა, ვინც არ რისკავს, ის ვერც იგებს.“

გია ახალაძე

ჰლეი ოფი 2006

იდიოტებთან ადვილია თამაში

24 აპრილი

აღმოსავლეთი

ბუფალო 2:0 ფილადელფია

ბუფალო 8:2 ფილადელფია

5:0 1:1 2:1

1:0 დიუმონი (2), 2:0 დრური (3), 3:0 კოტალიკი (13), 4:0 პომინვილი (15), 5:0 დიუმონი (20), 5:1 განიე (21), 6:1 დიუმონი (30), 6:2 ნედვედი (46), 7:2 პომინვილი (49), 8:2 პომინვილი (59)

„ფილადელფიის“ განადგურებამ სერიის ბოლო მატჩში „ბუფალოს“ თავკაცი ლინდი რაფი ისე გაათამამა, რომ თამაშის შემდეგ მან თავს უფლება მისცა, მეტოქის მოთამაშეებისთვის იდიოტები ეწოდებინა. „თუ გსურთ, სხვა სიტყვა იხმარეთ ამის მაგივრად, მაგრამ მე მაინც ასე ვიტყვი: ისინი რაც უფრო მეტად დაემსგავსებიან იდიოტებს, მით უფრო კარგად ვითამაშებთ“ — არც მეტი, არც ნაკლები, ასე უთქვამს თურმე მწვრთნელს. ისე, სტუმრებმა მართლაც დაიმსახურეს ასეთი შეურაცყოფა. იმის ნაცვლად, რომ სერიაში ანგარიშის გათანაბრებაზე ეფიქრათ, თავიდანვე მეტოქე ბრაიან კემპბელისადმი შურისძიებას გადაჰყვნენ, ვინაიდან მან წინა შეხვედრაში სუფთა ძალისმიერი ილეთით არ-ჯეი უმბერგერი გამოიყვანა მწყობრიდან. თუმც სულელური ჯარიმების გარდა „ფილადელფიამ“ ვერაფერი მოიმკო, „ბუფალომაც“ ეს ჯარიმები შესანიშნავად გამოიყენა. ერთბაშად ორმა მოთამაშემ — ჟან-პიერ დიუმონმა და ჯეისონ პომინვილმა — ჰეთ თრიქები მიითვალა. ასეთი შემთხვევა პლეი ოფში უკვე 10 წელია, არ ყოფილა.

ნიუ ჯერსი 2:0 რეინჯერსი

ნიუ ჯერსი 4:1 რეინჯერსი

2:0 1:0 1:1

1:0 მედვენი (8), 2:0 ჯიონტა (15), 3:0 მედვნი (40), 3:1 ბეტსი (46), 4:1 მედვნი (53)

ეს სერია საკმაოდ მოულოდნელი სცენარით ვითარდება. ვინ ელოდა, რომ „ნიუ ჯერსი“ მეტოქეს ასე უმოწყალოდ გაუმკლავდებოდა?! „რეინჯერსი“ ვერც იმით გაამართლებს თავს, რომ პირველ მატჩში მიღებული ტრავმის გამო გუნდს ლიდერი იარომირ იაგრი აკლდა.

ჰაროლინა 0:2 მონრეალი

კაროლინა 5:6 მონრეალი

0:3 2:0 3:2 0:0 0:1

0:1 ბულისი (5), 0:2 რაიდერი (14), 0:3 ბონკი (15), 1:3 კალენი (22), 2:3 ბრინდამორი (30), 3:3 უიტნი (41), 4:3 ბრინდამორი (42), 4:4 კოვალიოვი (46), 4:5 ზეფნიკი (46), 5:5 სტილმანი (59), 5:6 რაიდერი (83)

ეს კი უკვე ნამდვილი სენსაციაა. „კაროლინას“ რომ გაუჭირდებოდა „მონრეალთან“ სერიაში, ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ ამდენად? ამჯერად მასპინძლებს ვერც თავგანწირვით თამაშმა უშველა და ვერც ორმა შემთხვევითმა გოლმა.

დასავლეთი

დალასი 0:2 კოლორადო

დალასი 4:5 კოლორადო

0:3 4:0 0:1 0:1

0:1 ბლეიკი (8), 0:2 ბრიუნეტი (10), 0:3 ჰეიდუკი (13), 1:3 ოიკონენი (23), 2:3 ლეჰტინენი (26), 3:3 ლეჰტინენი (27), 4:3 მოდანო (40), 4:4 კლარკი (58), 4:5 საკიკი (65)

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. წუხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყვითლებული რომანი

AFP ფოტორეპორტაჟიდან

ვილიარეალი (ესპანეთი) 0:0 **არსენალი** (ინგლისი) (0:1)

რიკელმემ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)

ვილიარეალი: ბარბოსა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, პენია, არუაბარენა (როხერი 82), ხოსიკო (ხოსე მარი 63), სენა, სორინი, რიკელმე, ფორლანი, გ. ფრანკო

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, კემპბელი, ფლამინი (კლიჩი 9), გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, რეიესი (პირესი 69), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

23 000 მაყურებელი

არსენამ დარიბსაც წაართვა

რა ვქნათ, ისევ კოლო ტურეს ვუმადლოდეთ ლონდონელთა ფინალს? ალბათ ასეა. ის, რაც პირველ შეხვედრაში ტურემ მოახერხა, „ვილიარეალისთვის" დამღუპველი აღმოჩნდა... სწორედ ლონდონში გატანილმა ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა ორმატჩიანი შეხვედრის ბედი — ისტორიაში პირველად, არსენ ვენგერის „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

არადა, „ელ მადრიგალზე" მთელი 90 წუთი ესპანელები უტევდნენ. ვინც ეს შეხვედრა ნახა, თამამად იტყვის, რომ მასპინძლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ...

ფაქტი ერთია: იენს ლემანი გერმანიის ნაკრების მთავარმეკარეობას ალბათ საბოლოოდ დაეპატრონა — მან შეხვედრის მიწურულს „ვილიარეალის" ვარსკვლავ ხუან რომან რიკელმეს პენალტი აუღო და „მეთოფეები" პარიზის გზაზე დააყენა...

ამ მატჩში, ლონდონური „ჰაიბერისგან" განსხვავებით, არც ციყვი უნახავთ სტადიონზე შეჭრილი და არც სხვა რამეს შეუშლია ხელი გულშემატკივართათვის, ფეხბურთით დამტკბარიყვნენ — ანუ კოლო ტურეს ლონდონური გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა „არსენალისთვის".

ალალიც იყოს...

ლადო ხომერიკი

წამალი „სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. „სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ინგლისი

პრემიერლიგა XXXVI ტური
ასტონ ვილა 0:1 სიტი

მეორე ლიგა გადადებული მატჩები
როჩდეილი 1:1 ბარნეტი
ტორკი 4:0 სტოკპორტი

კონფერენსლიგა გადადებული მატჩები
ბარტონი 2:2 დაგენემი
ექსეტერი 4:0 ძროული
გრეისი 1:1 სოთპორტი
ჰალიფაქსი 2:0 გრეივსენდი
უოკინგი 2:1 ფორესტ გრინი

სლოვაკეთი

პირველი ლიგა XXIX ტური
ბანსკა ბისტრიცა 2:1 ინტერი
პეტრჟალკა 2:0 ნიტრა
რუჟომბეროკი 2:1 ტრნავა
ტრენჩინი 1:2 დუბნიცა
ჟილინა 3:1 პუხოვი

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი
ბაიერნი (მ) 2:0 ჰოფენჰაიმი

უნგრეთი

თასის ნახევარფინალი პირველი მატჩი
დებრეცენი 0:1 ფეჰერვარი

შვედეთი

სუპერეტა II ტური
იორებრო 4:1 მიალბი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პ.ხა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ცოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხულია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge